კვირა, 25 ნოემბერი 1923 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!




№ 2 ყოველკვირეული ჟურნალი № 2

რედაქცია და კანტორა
ტფილისი, პლეხანოვის პროსპექტი, სასტუმრო „ნოი“ ოთახი № 74.

ფასი
700,000 მანეთი
ამიერ-კავ. ბონებ.

რედაქცია და კანტორა
ღია ყოველ დღე გარდა კვირა უქმისა
დილის 9 ს. შუად. 3 ს.-დე.

## გაიგონებს?

ჩვენი ჟურნალის № 1-ში გამოქვეყნებულმა წერილმა ნ. ჟორდანიასადმი მეტად დაინტერესა საზოგადოება, რომლის ყველა ფენებში დღეს ისმის კითხვა:

— გაიგონებს თუ არა ნ. ჟორდანია სრ. საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ყრილობის ხმას?

ნ. ჟორდანია ჩვენში მარქსიზმის ერთი უხუცესი მასწავლებელთაგანია. მარქსიზმის სწავლის პოპულიარიზაციაში მას უპირველესი ადგილი უჭირავს ჩვენში.

მუშათა კლასს ნოე ჟორდანია, როგორც თავისი ძველი მასწავლებელი, უყვარდა. თუ მუშათა კლასი და პარტიული მასსა ემორჩილებოდა, ხშირად ხმა ამოუღებლივ ასრულებდა პარტიის ზედა ფენების ისეთ დადგენილებებს, რომლებიც არ შეეფერებოდენ მშრომელი კლასის ინტერესებს, ეს მსხვერპლი აუცილებლად აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ ნოე ჟორდანიას დიდი ავტორიტეტით.

ჩვენ ხშირად ვგრძნობდით ჩვენი ნაბიჯების შეცდომას, მაგრამ ამ დიდ ავტორიტეტის წინაშე ქრებოდა ყოველივე აზრი ჩვენი შეცდომების შესახებ.

თუ ნოე ასე ფიქრობს, თუ ნოე ამას გვირჩევს, ალბად, ეს გზა სწორი უნდა იყოს.

ასე მსჯელობდა პარტიული მასსა, რომელიც აღიზარდა ნოე ჟორდანიას ხელში. და ეს ფსიქოლოგია ყველასათვის გასაგებია.

მაგრამ ავტორიტეტი ყოველთვის არაა კანონი. რევოლიუციის გაკვეთილებმა ჩვენ გვაჩვენა სხვა გზა, უფრო სწორი, უფრო მტკიცე და სოციალისტური. რევოლიუციის პროცესში დამარცხდა ძველი ხაზი. ისტორიამ გაართლა ბოლშევიზმი.

და აი ძველი ტაქტიკასთან გამოთხოვებისა და გამომშვიდობების წამს 12 ათასი მუშა, ნოე ჟორდანიას ხელში აღზრდილი, იგონებს თავის ძველ მასწავლებელს და გამოსთქვამს სურვილს დაუბრუნდეს ის მუშათა კლასს, ჩადგეს მის რიგებში, უხელმძღვანელოს მას მომავალშიაც ნამდვილ რევოლიუციონურ და სოციალისტურ გზაზე.

ძველი მასწავლებელი, რომელიც ამ სამი წლის წინად მოშორდა საქართველოს მუშათა კლასს, უნდა დაუფიქრდეს მუშების გულიდან ამოხეთქილ ხმას.

აზრი ნოე ჟორდანიასადმი წერილის გაგზავნის შესახებ დაიბადა ყრილობის ვიწრო წრეში, რომელსაც ძალიან ახლო იცნობს ნოე ჟორდანია. ამ წრეს უნდოდა წერილის დამოუკიდებლივ გაგზავნა, მაგრამ ყრილობამ, გაიგო თუ არა ეს, დაადგინა გაეგზავნა წერილი მთელი ყრილობის სახელით. და ამ წერილს ხელი მოაწერა მთელმა ყრილობამ.

გაიგონებს თუ არა ამ გულწრფელ, სიყვარულით სავსე ხმას ძველი მასწავლებელი?

ჩვენ არ ვიცით რა ობიექტიური მდგომარეობაა დღეს მის ირგვლივ შექმნილი... შეიძლება იმ წრემ, რომელშიაც დღეს, სამწუხაროდ, ნოე ჟორდანია მოყვა, ურჩიოს მას უარყოფით შეხვდეს ამ წერილს.

მაგრამ ნოე ჟორდანია შექმნა მუშათა კლასმა, ნოე ჟორდანია ეკუთვნის მუშათა კლასს და ის უნდა დაუბრუნდეს მუშათა კლასს.

პარტიულმა მასსამ, რომელიც დადგა გამოფხიზლების გზაზე, თავისი მოვალეობა მასწავლებლისადმი შეასრულა.

რიგი ეხლა მასწავლებელზეა.

თუ გაიგონებს მის მიერ აღზრდილ მუშების ხმას და დაუბრუნდება მუშათა კლასს, რომლის სამსახური მან დაისახა ბავშობიდანვე, ცხადია, სიმპატია და სიყვარული მისდამი გაათკეცდება. მისი დაბრუნება საქართველოში და ჩადგომა მუშათა კლასის ავანგარდში პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე — სურვილია არა მარტო მუშათა კლასის, არამედ მთელი ქართველი მშრომელი ხალხის, რომელმაც კარგათ დაინახა, რომ ბოლშევიზმი არ ყოფილა ის საშინელება, როგორც ამას გვიხატავდენ წინეთ, პირიქით, საქართველოში ამ სამიწლის განმავლობაში გაკეთდა ბევრი რამ ქვეყნის სასარგებლო და საბჭოთა ხელისუფლება, საბჭოთა მთავრობა გახდა ხალხურ მთავრობათ.

თუ არ გაიგონებს, ეს იქნება ფრიად სამწუხარო მუშათა კლასისათვის, მაგრამ მუშათა კლასი მიუხედავათ ამისა, ერთი წუთითაც არ შეჩერდება თავის სწორ გზაზე.

## პროვინციელ ამხანაგების საყურადღებოთ.

ჩვენს ჟურნალს ფრიად დიდი ამოცანები აქვს დასახული.

მისი მიზანია დაუახლოვოს საბჭოთა პლატფორმაზე გადმოსულ ამხანაგების „მასა“ მუშურ გლეხურ ხელისუფლებას, ჩაბას ის აქტიურ მუშაობაში.

გაუადვილოს დარაზმვა კომუნისტურ პარტიის რიგებში.

ამ მხრივ ის ერთ ერთი ბასრი იარაღია ცეკასთან არსებულ სპეციალური კომისიისა, რომელმაც უნდა იკისროს გატარება ცხოვრებაში ყველა იმ ფრიად მნიშვნელოვან დადგენილებათა, რომელიც კომპარტიის ცეკას პლენუმმა გამოიტანა.

მაგრამ ჩვენი ჟურნალის დანიშნულება ამით როდი ამოიწურება.

მას არა ნაკლები მნიშვნელობის მეორე დიდი მოვალეობაც აწევს: ეს არის დაბმარება,

ამხანაგური კრიტიკა, მითითება ყველა იმ ნაკლებზე, დეფექტებზე„ რომელთაც ადგილი აქვს საბჭოთა ხელისუფლების მუშაობის პროცესში: ამხანაგური მითითება შეცდომებზე ხშირად ერთის შეხედვით ძალიან წვრილმან შეცდომებზედაც საშვალებას მისცემს ჩვენს ხელისუფლებას ადვილად მოიცილოს თავიდან შემჩნეული დეფექტები და გააჯანსაღოს, გააცხოველოს მშრომელ ხალხის სასარგებლო მუშაობა.

ამ მხრივ ჩვენს ამხანაგებს ძალიან ბევრის გაკეთება შეუძლია.

12 ათასი მუშა და გლეხთა დიდი უმრავლესობა ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში არიან მიმოფანტული.

ისინი ამ რამოდენიმე წლების განმავლობაში არ იყვნენ ჩაბმული მუშაობაში. შორიდან ათვალიერებდენ საბჭოთა ხელისუფლების მუშაობას და, რასაკვირველია, ბევრს ისეთს შეამჩნევდენ, რასაც ვერ დაინახავდა მუშაობის პროცესში აქტიურად ჩაბმული კომუნისტი ამხანაგები.

ჩვენი ვალია მიუთითოთ ამ შეცდომებზე, გამოვასწოროთ ის და მით წავსწიოთ წინ ჩვენი ქვეყნის საქმე.

ამ დიდ საქმის შესრულებაში ჟურნალს უნდა დაეხმაროს პროვინციელი ამხანაგები, განსაკუთრებით გლეხები.

საბჭოთა ხელისუფლება ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს ეგრედ წოდებულ „სმიჩკას“ ე. ი. დაახლოვებას მუშებსა და გლეხებ შორის.

ამხანაგებმა უნდა მოგვაწოდონ ცნობები რა უშლის ხელს ამ „სმიჩკას“.

როგორ სწარმოებს 'ადგილობრივად გადასახადების განაწილება. რა სჭირია ხალხს პირველ რიგში. რა უშლის ხელს ზოგიერთ ღონისძიებათა განხორციელებას.

სწერეთ, ამხანაგებო, ყველაფერი ის, რაც თქვენის აზრით ხელს შეუწყობს ჩვენი მუშურ-გლეხური ხელისუფლების გაჯანსაღებას და გამართელებას.

სწერეთ ისე, როგორც შეგიძლიანთ, მუშურად, კოჟრიან ხელებით ნაწერს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის.

მაგრამ სწერეთ საქმეზე. ერიდეთ საზოგადო ხასიათის წერილებს. სწერეთ სიმართლე. მოგვაწოდეთ ცნობები თქვენის მუშაობის შესახებ, თქვენი სოფლის ან ქალაქის ცხოვრების შესახებ.

როგორ ტარდება ჩვენი ყრილობის დადგენილებანი ცხოვრებაში.

როგორი ურთიერთობაა თქვენსა და ადგილობრივ ხელისუფლების ან პარტორგანიზაციების შორის.

საბჭოთა ხელისუფლების გამაგრება დღეს ჩვენი საქმეც არის.

მაშ ვიმუშაოთ, შევიტანოთ ჩვენი წვლილიც ამ დიად საშვილიშვილო საქმეში.

დევ რევოლიუციის გზაზე შემდგარმა მუშათა და გლეხთა „სიმართლის ხმამ“ სთქვას გაბედულად მუშური სიტყვა.

ამხანაგებო! დაეხმარეთ რედაქციას ამ დიდი საქმის გაკეთებაში.

სიტყვა თქვენზეა.

გ. ვარდოიანი.

# რევოლიუციის გაკვეთილები.*)

თითქმის ორი ათეულ წლის მანძილზე-ჯერ კიდევ პარტიის მე-II ყრილობაზე მომხდარ პირველ განხეთქილების დღიდან ამ სტრიქონების დამწერი იმყოფებოდა მენშევიკურ სოციალ-დემოკრატიის რიგებში; 1909-12 წლების პერიოდში ის მონაწილეობას იღებდა ვენის „პრავდის“ ჯგუფის ცდაში შეედგინა „არაფრაქციელების“ ფრაქცია და საშუალო ხაზზე გააერთიანებია ბალშევიკები და მენშევიკები: მსოფლიო ომის და რევოლიუციის ხანაში ის ის ეკუთნოდა მენშევიკ—ინტერნაციონალისტებს და იყო სოლიდარული გერმანიის დამოუკიდებელთა დ $2^1/_2$ ინტერნაციონალის ხელმძღვანელ ცენტრისა. ამგვარად მთელი თავისი პარტიული წარსულით, მთელი თავისი თეორეტიული აზროვნებით და პოლიტიკური მოღვაწეობით ის ეკუთვნოდა ე. წ. „ცენტრს“. და არა ამჩატებით, არამედ ხანგრძლივი კრიტიკული პროცესის შემდეგ, თანდათანობით, ემორჩილებოდა რა ის ფაქტების ურყევ ლოღიკას და გავლილ წლების გამოცდილებიდან გამოყვანილ დასკვნებს, იძულებული შეიქნა, როგორც მკითხველი დაინახავს ამ წიგნიდან, ეღიარებია ბალშევიზმის ისტორიული სიმართლე იმ ძირითად საკითხში, რომელიც განსაზღვრავს რევოლიუციის ბედ-იღბალს**).

წინამდებარე შრომის პირველი ნაწილი ეხება რუსეთის რევოლიუციის გაკვეთილებს, ეხლა, როცა თებერვალიც და მარტიც ჩაიწერა ისტორიაში, სრულიად დამოუკიდებლად იმისაგან, თუ რა ბედი ეწევა ჩვენს რევოლიუციას,—ობიექტიური ანალიზი გვიკარნახებს, თუნდაც ზომიერათ სრულიად უდაო დასკვნების გამოყვანას. პირველ ნაწილში ჩვენ ვეხებით ჩვენს რევოლიუციას, უმთავრესად, როგორც ეროვნულს, უყურადღებოთ ვტოვებთ რა ყველაფერ იმას, რაც მისი სოციალური ხასიათით და მასში პროლეტარიატის როლის მიხედვით, მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისის ატმოსფეროში, აყენებს მას სულ სხვაგვარ საფეხურზე, აკუთვნებს მას ისტორიულად პირველობას პროლეტარულ სოციალისტურ რევოლიუციათა შორის. მაგრამ ასეთი ეროვნული ჩარჩოებით შემოფარგლულ განხილვასაც ჩვენ მივყევართ იმ დასკვნამდე, რომელიც უნდა ჩაითვალოს უდავოთ, რომ ჩვენი რევოლიუციის მიმდინარეობაში ოქტომბერი იყო mutatis mutandlis იგივე, რაც საფრანგეთის რევოლიუციაში—1793 წელი. ხოლო 1793 წლის გარეშე საფრანგეთის რევოლიუცია ჩაიეწერებოდა ისტორიაში არა როგორც დიადი, არამედ როგორც უმნიშვნელო და შეკვეცილი.

ბოლშევიკებმა ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება მას შემდეგ, **რაც თანდათანობით გაკოტრდენ რიგ-რიგობით ყველა სხვა პარტიები რევოლიუციაში.** რაც დადასტურებული იყო განვითარების მთელი მიმდინარეობით დაწყებული რომანოვების მონარქიიდან და პირველ დროებით მთავრობიდან და გათავებული პირველი კოალიციით, (2 მაისიდან—2 ივლისამდე), მეორე კოალიცია (2 ივლისიდან 27 აგვისტომდე) და მესამე კოალიციით, რომლის ერთ ადგილზე გაყინვის ძაფი გაგლეჯილ იქნა უკვე უშუალოთ 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს).

პლეხანოვი 1917 წელს უპირდაპირებდა მოვლენების ამ ფაქტიურ მსვლელობას რევოლიუციის იდეალურ „აღმავალ ხაზს“. იმას, რომ დღემდის ეცოცხლა, ვფიქრობთ, მას ეყოფოდა გამბედაობა ეღიარებია, რომ ისტორიული განვითარების ხაზი თებერვლიდან ოქტომბრამდე სწორედ „აღმავალი“ აღმოჩნდა,-მხოლოდ, რა თქმა უნდა, საფრანგეთის დიდი რევოლიუციისაგან იმ განსხვავებით, რომ ეპოქათა ხასიათის სხვადასხვაობის კლასობრივ წინაღმდეგობათა უფრო მეტი სირთულის, სიმწვავის და განვითარების გამო, ხუთი წლის პერიოდი 1788—1793 წ. წ. გავლილი იქნა ჩვენი რევოლიუციის მიერ, რომელსაც ქონდა თავის შესავალი უკვე 1905 წელში, 7 თვის განმავლობაში.

რამდენადაც საერთოთ დასაშვებია—რა თქმა უნდა სათანადო გამონაკლისებით,—შედარება და ანალოგიები ისტორიულ ეპოქათა შორის, შეიძლება ითქვას, რომ პარტიების თანდათანობითი გაკოტრება რევოლიუციის დროს, ხდებოდა ჩვენში თითქმის ისეთსავე თანამიმდევრობით, როგორც $1^1/_4$ საუკუნის წინ, საფრანგეთში აბსოლიუტიზმის ლიკვიდაციის ხანაში. მაგრამ პროლეტარიატის, როგორც დამოუკიდებელ კლასიურ ძალის გამოსვლამ, რომელიც იმ თავითვე მტრულათ იყო განწყობილი ბურჟუაზიის ყველა ფრაქციებისადმი, გამოიწვია ჩვენში მთელი ამ პროცესის ერთი საფეხურით მარჯვნისაკენ გადახრა. ასე, მაგ., კადეტები, რომელნიც თავისი სოციალური ბუნებით და თავისი საკუთარი იდეოლოგიური ზრახვებით, თითქოს უნდა ყოფილიყვნენ „ჟირონდისტების“ „პროგრესის“ ამ იდეოლოგების და საქმიანი ბურჟუაზიის როლის შემსრულებელნი, სინამდვილეში გამოდიოდენ ჩვენში იმ თავითვე, როგორც ფალიანტები, ზომიერი-კონსტიტუციონური ნახევრად მონარქისტები; ხოლო რესპუბლიკანურ ჟირონდის როლი ერგო ესერების და მენშევიკების სოციალისტურ ბლოკს. ამ ბლოკის გარეშე დარჩენილი და ფაქტიურად ბოლშევიკებისაკენ გადახრილი მენშევიკ-ინტერნაციონალისტების ჯგუფი სცდილობდა გამოემუშავებია შერიგების ფართო კონცენტრაციის „დანტონისტური“ ხაზი. მაგრამ აღმოჩნდა გასრესილი რევოლიუციის ორომტრიალში. რეალურ ძალთა შეჯახების დროს გაიმარჯვა, თუ განვაგრძობთ ანალოგიას,—„მემარცხენე რობესპიერების ცენტრმა“—ბოლშევიზმმა.

1917 წ. ოქტომბერში ბოლშევიკების გამარჯვებით ისტორიული კანონ შეწონილება ალა-

---

*) იხ. შესავალი იმ წიგნისა, რომელიც ახლო მომავალში გამოვა ამ სათაურით—გამოცემა უკრაინის სახელმწიფო გამომცემლობისა.

**) ასეთმა რწმენამ აიძულა ავტორი 2 წლის წინად ჩამოშორებოდა სოც.-დემოკრატიულ პარტიის მუშაობას, რომელიც ამ დროისათვის მარჯვნისაკენ გადაიხარა, და შემდეგ გამოსულიყო მისი შემადგენლობიდან. მაგრამ რამდენადაც ეს გამოსვლა მოხდა იმ პერიოდში, როცა პარტიულმა ძველმა ამხანაგებმა განიცადეს რეპრესიები, მან უადგილოთ მიიჩნია თავის შესახებ საჯარო განცხადებით გამოსულიყო. ცხადია, რომ ასეთი სიჩუმე დიდი ხნით არ გაგრძელდებოდა იმ დროთა ვითარებაში, რომელიც მოითხოვს გარკვეულობას და სიცხადეს თვითეულისაგან, ვისაც არ შეუძლია გულგრილად უცქიროს ტანჯვებში წარმოშობილ პროლეტარულ რევოლიუციის ბედ-იღბალს

რავისთვის სადაო საკითხს არ შეადგენს. ვინ შესძლებდა დღეს მხარი დაეჭირა „ბალშევიკურ ავანტიურის“ ილიუზიებისათვის, რომელიც მოასწავებდა დაღუპვას ერთი კვირის განმავლობაში? მილიუკოვიც კი, ისტორიულ რეტროსპექციაში, უცქერის რა იმ ტალღებს, რომელმაც ის გადახვეწა სენის ნაპირებზე, იძულებულია აღიაროს, რომ ეს ტალღები, ასეა თუ ისე, გამოდიოდენ ხალხთა წიაღიდან. ის იძულებულია აღიაროს—რუსეთის მეორე რევოლიუციის თავის ისტორიაში—„მაღალ სოციალურ ფენების სისუსტე, რომლებმაც ასე ადვილად დასთმეს თავისი ადგილი, შემდეგ კი იქნენ გარიყულნი **აზვირთებულ ხალხის მიერ.** (კურსივი ჩვენია).

კიდევ მეტი. თუ დემოკრატიის ქვეშ ვიგულისხმებთ არა იმას, რასაც გულისხმობს „რუსეთის ჯანყის“ მეორე ისტორიოგრაფი გენერალი დენიკინი, რომელიც თავის თავსაც „ლიბერალურ დემოკრატებს“ აკუთვნებს,—თუ დემოკრატიის ქვეშ ვიგულისხმებთ ხალხის დაბალი ფენების ინტერესთა ბატონობას, ხალხთა მასების პოლიტიკურ უპირატესობას, საჭირო იქნება აღვიაროთ, რომ დამფუძნებელი კრებაც ჭეშმარიტი დემოკრატიის მიერ იყო გარეკილი, იმ დემოკრატიის, რომელიც საფრანგეთის რევოლიუციის დროსაც, არც ისე ძალიან ზრუნავდა კანონიერ რეგლამენტებზე, ხმაურობით ავსებდა კონვენტის დარბაზს და გაბედულად უკარნახებდა მას თავის ნება-სურვილებს, და არ ჩერდებოდა, როგორც ვიცით, მისი თავის მოკვეთის წინაშეც კი.

ჩვენი ქირონდა, 7 თვეზე მეტი, რევოლიუციონურ აღტყინების და აღფრთოვანების 7 თვის განმავლობაში, უაზროთ ფართხალობდა გამოუვალ ჩიხში, ანტანტის ბაწარზე გამობმული, კოალიციონურად—უნებისყოფო, უძლური, შეშინებული ლიბერალის და განრისხებულ მოკავშირის აჩრდილის წინაშე. მხოლოდ ოქტომბრის გამარჯვებამ გასჩეხა ომის გორდიის კვანძი და პირველმა რადიკალურად გადასწყვიტა ის ძირითადი ამოცანები, რომელიც ობიექტიურად დასმული იყო ისტორიის მიერ ჩვენი რევოლიუციის წინაშე, თუ მას განვიხილავთ თუნდაც როგორც ეროვნულ-იაკობინურს.

ძალიან საეჭვოა, რომ ეხლა იყოს კიდევ რაიმე ეჭვი იმის გამო, რომ ბალშევიკების მიერ მოხდენილ ოქტომბრის გადატრიალების გარეშე, რუსეთის რევოლიუცია კარგა ხნის დანარცხებული იქნებოდა მიწაზე. კორნილოვის ეპოპეა და „დირექტორიის“ მთელი ვითარება არ ბადებს ეჭვს იმის შესახებ, რომ არსებითად კერენსკის რეჟიმი ბოლოს გახდა **კონტრრევოლიუციის შესავალი.** შემთხვევითი ხომ არ არიან ის რეალური ძალები, რომლებზედაც შეეძლო, უფრო სწორათ სცდილობდა, დაყრდნობას კერენსკი ოქტომბრის გადატრიალების“ წინააღმდეგ, უკეთ, სწორედ ის ძალები, რომლებიც მანამდეც და მას შემდეგაც, ადგენდენ ჩვენი კონტრ-რევოლიუციის მებრძოლ ცენტრს. ერთად-ერთი ელემენტი, რომლისაგანაც შეიძლებოდა დახმარების მიღება სახელმწიფოებრიობის დასაცავად,—დიდი გესლით, მაგრამ ისტორიულად სავსებით სისწორით აღნიშნავს დენიკინს („რუსეთის ჯანყის“ ისტორიაში“ ტ. II),—ბედის დაცინვით, აღმოჩნდენ ისევ ის „კორნილოვის მეამბოხენი“—აფიცრები, იუნკრები, უდარნიკები“ „ტეკინულები“, ისევ ის მ-ე ცხენოსანი კორპუსი.

ეჭვს გარეშეა, მენშევიკები თავის პოლიტიკაში რევოლიუციის დღეს, აგრეთვე ესერებიც ხელმძღვანელობდენ არა იმით, რომ ხელი შეეწყოთ კონტრ-რევოლიუციისათვის, არამედ იმით, რომ „რეალისტურად“ უზრუნველეყოთ რევოლიუციის განვითარების „უმტკინველი“ გზა. მაგრამ ეს „რეალიზმი“ გარდა ყოველივე დანარჩენისა, აღმოჩნდა წმინდა ილიუზიონიზმი, უმტკინველი რევოლიუცია. ეს არის ხის რკინა. მენშევიზმმა გამოიმუშავა შესანიშნავი ტაქტიკა რევოლიუციისათვის გამოსადეგი, **„როგორიც იგი უნდა ყოფილიყო.“** ბოლშევიზმი აღმოჩნდა რუსეთის რევოლიუცის გამომხატველი, **როგორიც არის იგი.** ჯერ კიდევ მოხუცმა კანტმაც განმარტა, რით განირჩევა 100 შესაძლებელი ტალერი, 100 ნამდვილი ტალერისაგან.

ძველი ფრაქციული დავა რევოლიუციის მამოძრავებელ ძალების და „ორი ტაქტიკის— ბურჟუაზიულ ლიბერალიზმისაკენ, თუ ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის და გლეხობის კავშირზე ორიენტაციის შესახებ, ისტორიამ გადასწყვიტა ბოლშევიზმის სასარგებლოთ.

თავისი ოქტომბრის გამარჯვება ბოლშევიზმმა მოიპოვა სწორედ, როგორც რუსეთის მუშათა კლასის და გლეხობის რევოლიუციონურ კავშირის პარტიამ.

ის ძალა, რომელიც ჩვენს რევოლიუციაში გეგემონის როლს თამაშობდა, როდი წარმოადგენდა იმ სანკილოტურ მასას, რომელსაც რობესპიერი ეყრდნობოდა.

ოქტომბერში ხელისუფლებასთან ჩამდგარ ბოლშევიკურ პარტიის მხარეზე იყო რევოლიუციონურ რეალიზმის ყველა უპირატესობა და მარქსისტული მეთოდის ყველა დადებითი მხარეები. ამ უპირატესობათა გამო ბოლშევიზმმა შესძლო არაჩვეულებრივათ რთულ შინაურ და საერთაშორისო პირობებში გადაერჩინა რევოლიუცია იმ საშიშ მიხვეულ-მოხვეულ გზაზე, რომელზედაც მოუქნელმა დოქტრინიორ-სოციალისტმა, ჟან-ჟაკ რუსსოს მოწაფემ, რობიესპიერმა კისერი მოუტეხა მთელს რევოლიუციას და თავის თავსაც.

რასაკვირველია, რევოლიუციონურ—მარქსისტული პარტია, რომელიც სათავეში უდგას ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყანას,—ქვეყანას, რომელიც ეს-ეს არის გამოვიდა მსოფლიო და სამოქალაქო ომის ალმურიდან, ნახევრათ განადგურებული სამრეწველო ცენტრებით, დაქსაქსულ და სისხლ დალეულ პროლეტარიატით,—ეს ისტორიულათ შექმნილი მდგომარეობა საკმაო საფრთხეს და წინააღმდეგობას შეიცავს.

რასაკვირველია პირდაპირ შეცდომებსაც ქონდა ადგილი ამ გასაოცრათ რთულ პირობებში. ჩვენის აზრით უდიდესი ამ შეცდომათაგანი იყო „სამხედრო კომუნიზმი“,—არა თავიდან აუცილებელ პრაქტიკულ საჭიროების თვალსაზრისით, არამედ თეორიაში. ეს პერიოდი დროზე შესცვალა ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ. ეჭვს გარეშეა ისიც, რომ „ნეპ“-ის მიერ განთავისუფლებულ სტიქონს მომავალშიაც შეუძლია გამოიწვიოს მრავალი წინააღმდეგობა, რომლებიც, შეიძლება, საბედისწეროც გახდეს რუსეთის რევოლიუციისათვის იმ შემთხვევაში, თუ იგი კიდევ დიდ ხანს დარჩება განკერძოებული, თუ მას მხარს არ დაუჭერს გამარჯვებული პროლეტარული რევოლიუცია თუნდაც ერთ რომელიმე მოწინავე სამრეწველო ქვეყანაში.

როზა ლიუქსენბურგი ბრესლავლის ციხიდან სწერდა ლიუზა კაუცკის ოქტომბრის რევოლიუციის გამო.

„გახარებს თუ არა რუსების ამბავი? რასაკვირველია, ისინი ვერ გასძლებენ დიდ ხანს ამ ჯოჯოხეთურ ორომტრიალში,-არა იმიტომ, რომ სტატისტიკა რუსეთის მეტის ეკონომიურ ჩამორჩენილობას მეტყველებს, როგორც ეს შენმა ბრძენმა ქმარმა გამოიანგარიშა, არამედ იმიტომ, რომ მაღალ განათლებულ დასავლეთის სოციალ-დემოკრატია შესდგება უბადრუკ და ყოვლად უვარგის მშიშარებისაგან, რომლებიც გულდამშვიდებით ცქერას დაუწყებენ რუსებს, სანამ ისინი სისხლისაგან დაიცლებო-

# გურჯს.

სალამი შენდა, ჩემო მუშავ, სალამი შენდა!
მსოფლიოს ბურჯო რად გაქვს შუბლზე შავი ხაზები.
შენი მარჯვენით, შენი კერა ჯერ არ აშენდა—
იარე ასე დაღვრემილი, განაბრაზები.
სულ თმენა, თმენა გოლგოთაზე დაკარგავს კიდეს.
შენ მტრის სათლავზე დაინახავ ამოსულ ეკლებს!
და გაიმთელებ, ჩემო კარგო, მებრძოლ გულს კიდევ,
შურისძიებით გააცოცხლებ უმანკო მსხვერპლებს!
შენი საქმეა წამებული, შენი ხსნა, შველა.
შენ ხარ დიდება მომავალის—შენ ზიდე ჯვარი.
დილის ხმაური ახლოვდება ვით ცისარტყელა,
შენ ამაყი ხარ, როგორც გედი სიკვდილთან მდგარი.
სალამი შენდა, ჩემო მუშავ, სალამი შენდა!
მსოფლიოს ბურჯო, რად გაქვს შუბლზე შავი ხაზები!
შენი მარჯვენით, შენი კერა თუ არ აშენდა,
მას შენ აღადგენ ბრძოლის ცეცხლით განაბრაზები!

**ქაგნელი ბზიკი.**

დენ. მაგრამ ამგვარი სიკვდილი „სამშობლოსათვის სიცოცხლეს“ სჯობია, ეს ისტორიული საქმეა, რომლის კვალი არასოდეს არ გაქრება ეონთა შორის“.

გავიდა ექვსი წელიწადი. რუსეთის რევოლიუციამ არა თუ იხსნა თავი „ჯოჯოხეთურ ოლიგარქიალიდან,“ არა თუ გასძლო უამრავ მტრებთან ბრძოლაში, არამედ ძლევამოსილ მსოფლიო რევოლიუციონურ ძალათ გადაიქცა, **იგი გადაიქცა მსოფლიო ასპარეზზე პროლეტარულ რევოლიუციის ერთად ერთ ციხე-სიმაგრეთ**, რომელ ქვეყანაშიაც არ უნდა გაიმარჯვოს ამ რევოლიუციამ. მაგრამ, ვიდრე ესგამარჯვება არა გვაქვს, ისტორიის მიერ რუსეთის რევოლიუციაში ჩანერგილი წინააღმდეგობები ძალაში რჩებიან და არა ერთხელ გვაგრძნობინებენ არაჩვეულებრივ დაბრკოლებებს, რომლებიც თავის რიგათ მრავალ შეცდომას და სიმანჭიჯეს გამოიწვევენ.

მაგრამ როგორი დასკვნა გამომდინარეობს აქედან? ის „-რომ შეცდომებს გასწორება სჭირია, რომ სიმახინჯეს მოსპობა უნდა, ეს ელემენტარული მოთხოვნილებაა და რა საკვირველია, იგი არ შეიძლება საფუძვლათ დაედოს რევოლიუციის პრინციპიალურათ განსხვავებულ გეზს. ასეთი გეზი ბოლშევიზმის გვერდით, ეხლა, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის შემდეგ, შეიძლება აშენდეს მხოლოდ ერთ საფუძველზე, სახელდობრ, იმ მოთხოვნაზე, რომ პოლიტიკური ზედნაშენი (რევოლიუციონური ხელისუფლება) „შეფარდებულ იქნეს“ ეკონომიურ ბაზასთან (ნეპ“-ის მიერ განთავისუფლებულ კაპიტალიზმთან) ე. ი., მარტივათ რომ ვთქვათ, ბოლშევიკების მიერ ხელისუფლებისაგან გადადგომის მოთხოვნაზე, ასეთი „მარქსისტული“ რეცეპტი მართლაც მოსპობდა ყოველივე რევოლიუციონურ წინაღმდეგობას, რადგან თვით რევოლიუციაც მოისპობოდა!

**შეეძლოთ თუ არა** ბოლშევიკებს ოქტომბერში ხელში არ აეღოთ ძალა-უფლება? რევოლიუცია ამ შემთხვევაში, როგორც ამას ჩვენს წიგნში დავამტკიცებთ, საფუძველშივე ჩალპებოდა.

**შეუძლიათ თუ არა** ბოლშევიკებს ეხლა გადადგნენ ხელისუფლებისაგან?

უცნაური კითხვაა!

**პოლიტიკურათ** ეს იქნებოდა ორი მოკლე ეტაპის შემდეგ, ან უფრო სწორათ,—რომანოვების რესტავრაციის შემდეგ მშრომელთა მასების **სოციალურათ** არაჩვეულებრივი დამონავება და, **საერთაშორისო თვალსაზრისით კი**, რუსეთის გადაქცევა, —და ეს იქნებოდა უკეთეს შემთხვევაში,—დიდ ჰუნგრეთათ ან პოლონეთათ, საფრანგეთ—ინგლისის მიერ ლაგამ-ამოდებულ გააფრთებულ ჟანდარმათ ყველა რევოლიუციებისათვის, როგორც აღმოსავლეთში, ისე ევროპის ცენტრშიაც.

იმპერიალისტურ ძალთა თარეშში მუჟიკური რუსეთი ბოლშევიკურ ხელისუფლების გარეშე გადაიქცეოდა უსაშინელეს მეჭარათ, პირველათ ყოვლისა გერმანიის რევოლიუციისათვის, რომლის განვითარება არ დამთავრდება გამარჯვებით ან დამარცხებით მაინცა და მაინც ამ უახლოეს კვირეებში ან დღეებში.

საკითხი ჩვენი რევოლიუციის, როგორც პროლეტარულ—სოციალისტურ რევოლიუციის საერთაშორისო მნიშვნელობის შესახებ და ამ საკითხთან განუყოფელათ დაკავშირებული ინტერნაციონალის საკითხი გარჩეული იქნება ჩვენი შრომის მეორე ნაწილში. აქ კი, პირველ ნაწილის შესავალში, ჩვენ გვსურს ორიოდე სიტყვით გამოვსთქვათ ჩვენი და გერმანიის რევოლიუციის გაკვეთილებიდან მიღებული ძირითადი დასკვნა.

რუსეთის რევოლიუციის მსოფლიო მნიშვნელობა, რომელიც გაცილებით მეტია, ვიდრე პარიზის კომუნის მნიშვნელობა, მდგომარეობს იმაში, რომ მან ნათელჰყო პროლეტარულ რევოლიუციისათვის აუცილებელ სამოქალაქო ომის მექანიზმი. საქმე „რუსეთის პრაქტიკის“ ამა თუ იმ კერძო თვისებაში კი არ არის, მათი დაკანონება სასაცილო იქნებოდა. საქმე იმ **ძირითად** ფაქტშია, რომელიც ჩვენმა რევოლიუციამ გამოაშკარავა და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ახალ ეპოქისათვის, რომელიც ფორმალურათ მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო, პროლეტარიატის ძალა-უფლებისათვის უშუალო ბრძოლის ეპოქისათვის, **აუცილებელი გზა სოციალიზმისაკენ არაა არა „დემოკრატია“ და კოალიცია, არამედ სამოქალაქო ომი და დიქტატურა.**

„მსოფლიო ბოლშევიზმის“ სიმართლე ამ ძირითად საკითხში განსაკუთრებული მჭერმეტყველობით დაასაბუთა უკანასკნელ წლების ორმა ფაქტმა: 1) **ფაშიზმმა**, რომელმაც ჩამოჰგლიჯა დემოკრატიული ფარდა ომის შემდგომ ხანის კაპიტალიზმს და რომელმაც ეს კაპიტალიზმი წარმოადგინა, როგორც მუშათა კლასის წინააღმდეგ შეიარაღებული და სამოქალაქო ომში გამოჭედილი ორგანიზაცია, და 2) **გერმანიის რევოლიუციის** მთელმა განვითარებამ, რომლის ეტაპები ასე ცოცხლათ გვაგონებენ ჩვენი რევოლიუციის მიერ 1917 წლის თებერვალსა და ოქტომბერს შუა გავლილ ზიგზაგებს. მენშევიკ-ესერების ჟირონდისტულ ბლოკის განხორციელება მისი უმაღლეს საფეხურამდე ისტორიამ გერმანიის სოციალ-დემოკრატიას დააკისრა. და რა აღმოჩნდა? აღმოჩნდა ის, რომ იმ ერთათ ერთ მომენტს, როდესაც გერმანიის ბურჟუაზია განიარაღებული დარჩა, პროლეტარიატი კი შეიარაღებული, სოციალ-დემოკრატიამ დიდი და პატარა ნოსკეების ხელით იარაღი აჰყარა პროლეტარიატს და შეაიარაღა ბურჟუაზია. ხომ სოციალ-დემოკრატია დაეხმარა ბურჟუაზიას რეიხსვერის შექმნაში, რომლის ჯარისკაცები ჩვენი თვალის წინ ებერტისა და შტრეზემანის სოციალ-დემოკრატიულ კოლეგების კურთხევით გაგზანილ იქნენ მუშურ საქსონიის დასარბევათ, გერმანიის მუშათა რევოლიუციის ჩასახრჩობათ.?

მაგრამ მემარცხენე სოციალ-დემოკრატები?

საბედისწერო შეცდომა მენშევიკ-ინტერნაციონალისტების, რომლებმაც გადამწყვეტ წუთში, ოქტომბერში ვერ გასწყვიტეს კავშირი თავის ტრადიციებთან და ვერ მიემხრენ უყოყმანოთ რევოლიუციის ავანგარდს,—ეს შეცდომა საერთაშორისო მაშტაბით გამეორდა. დიახ, გამეორდა ისეთივე უნუგეშო შედეგით.

გერმანიის „დამოუკიდებლები“, რომლებმაც ერთხანს კომუნისტურ ინტერნაციონალის გეზი აიღეს, ოფიციალურ სოციალ-დემოკრატიაშ გაითქვიფენ. ვენის ინტერნაციონალი გაით ქვიფა მეორე ინტერნაციონალში, რომლის შესახებ შეუძლებელია ეშვიც, რომ მსოფლიო ომის განმეორებისთანავე მისი ნაციონალური სექციები კვლავ თავიანთ მშობლიურ იმპერიალიზმის სამსახურს შეუდგებიან სწორეთ ისე, როგორც ეს 1914 წელს მოხდა.

უკვე ამითაც მემარცხენე ს. დემოკრატებმა ხელი მოაწერეს საკუთარ სასიკვდილო განაჩენს. მარლოთლაც და, განა შესაძლებელი იქნება მომავალშიაც, რევოლიუციის ყველა გაკვეთილების შემდეგაც მარცხნიდან მარჯვნით რყევა და სხვის ფეხებში ბორგვა, განა შესაძლებელი იქნება გერმანიის უკანასკნელ მწარე გამოცდილების შემდეგაც ზეიმით დამარხულ „დამოუკიდებელ“ პარტიის და 2 ნახ. ინტერნაციონალის მკვდრეთით აღდგენის ცდის განმეორება?. მაშ რა გამოსავალი რჩება?

ერთათ ერთი: უნდა საბოლოოთ აღიარებულ იქნეს, რომ **„ცენტრიზმს“ ადგილი არ აქვს იქ, სადაც დგას ალტერნატივა: ან რეფორმისტულ-დემოკრატიული სოციალიზმი**, რომელიც პროლეტარიატის ხელის-უფლებისთვის და სოციალიზმისათვის ბრძოლა გადააქვს ნისლით დაფარულ მომავალში, მრავალ საუკუნეთა იქეთ, და რომელიც სოციალისტურ პარტიას ფაქტიურათ ბურჟუაზიის დამატებათ და შირმათ აქცევს,—ან **რევოლიუციონური მარქსიზმი**, რომელიც ათასგვარ წინააღმდეგობებით გამწვავებულ ახალ ეპოქაში სოციალურ რევოლიუციის, პროლეტარულ დიქტატურის დროშის ქვეშ რაზმავს მშრომელთა მასებს.

რეფორმიზმთან პირველ ბრძოლის პერიოდში, 900-იან წლების დამდეგს და 900-იან წლების დასასრულში ისტორიამ სოციალიზმის წინაშე დააყენა სამკვდრო-სასიცოცხლო ამოცანა:

ამოცანა ძალთა კონცენტრაციისა მემარცხენე რევოლიუციონურ ფრთის გარშემო.

და ეხლაც, განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე საერთაშორისო სოციალიზმის წინაშე დგას ამოცანა მემარცხენე კომუნისტურ ფლანგის გაძლიერების, რომელიც სულ უფრო და უფრო იქცევა რევოლიუციონურ აღფრთოვანების და მასების გერიოზმის გამომხატველათ და ამასთანავე, ჟეშმარიტ-რევოლიუციონურ რეალიზმის მატარებლათ, რეალიზმის, რომელიც განთავისუფლებულია წინამორბედ მშვიდობიან ეპოქისაგან მემკვიდრეობით მიღებულ და წარსულ წელთა გამოცდილებით შეუბრალებლათ დამსხვრეულ ილიუზიებისაგან.

**ს. სემკოვსკი.**

7 ნოემბერი 1923 წ.

---

# რევოლიუციის ფართო გზაზე.

ბოლშევიკები მივიდენ ხელისუფლებამდე ოქტომბერში მხოლოთ ყველა პარტიების რევოლიუციის პროცესში ბანკროტის შემდეგ,—ამბობს ყოფილი წევრი რ. ს. დ. მ. პარტიის ცენტრალური კომიტეტისა ს. სემკოვსკი, რომელიც პ. ბ. აქსელროდთან ერთად შედიოდა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში,

რამ გამოიწვია ეს კრახი? რა იყო მიზეზი ამ გაკოტრების?

მიზეზი უნდა ვეძიოთ ჩვენს ყალბ შეხედულებაში პროლეტარიატისა და დემოკრატიის როლის შესახებ რევოლიუციაში.

ეს აშკარად აღიარა სემკოვსკიმ, სოციალ-დემოკრატიის ერთ ლიდერთაგანმა, ამ დღეებში მოსკოვის გაზეთ „პრავდაში“.

ბოლშევიკების 1917 წ. ოქტომბერში გამარჯვების კანონშეზომილებას დღეს ვეღარავინ ვერ ყოფს უარს,—ამბობს იგივე სემკოვსკი.

თვით მილიუკოვიც არ უარყოფს იმას, რომ ხალხის ტალღამ გარიყა მდინარე სენას ნაპირებზე.

ა. მარტინოვის შემდეგ სემკოვსკი მეორე დიდი ძალაა, რომელმაც სწორი ალღო აუღო ჩვენს რევოლიუციას და თუმცაღა დაგვიანებით, მაგრამ მაინც დადგა სწორ გზაზე.

მე წინ მიდევს პროგრამულ-ტაქტიკური ფურცელი: „რუსეთის პროლეტარიატის ამოცანა. წერილი ამხანაგებთან რუსეთში“, რომელსაც ხელს აწერენ: პ. აქსელროდი, ასტროვი, ა. მარტინოვი, ლ. მარტოვი და ს. სემკოვსკი.

ეს წერილი დაიწერა 1915 წ. და ის დიამეტრულად ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომელსაც ეხლა აღიარებენ ამ წერილის ორი ავტორთაგანი: მარტინოვი და სემკოვსკი.

რევოლიუციის პრობლემა ამ წერილში დასმულია მეტად ზოგადათ, ანალიზის სისწორე, გარკვეულობა ქრება იმ წამსვე, როგორც კი ავტორები ომის მიერ შექმნილ მდგომარეობის საერთო დახასიათებიდან გადადიან პოლიტიკურ პერსპექტივებზე და ტაქტიკურ დასკვნებზე.

რუსეთის გარეგან მდგომარეობაში, ამ წერილის მიხედვით, ბატონობს, ერთი შეხედვით, ორი განწყობილება: პირველი ზრუნვა ნაციონალურ თავდაცვაზე (რომანოვიდან პლეხანოვამდე), მეორე, საერთო უკმაყოფილება: ოპოზიციონურ-ბიუროკრატიულ ფრონტიდან დაწყებული ქუჩებში აჯანყებულთა აფეთქებამდე. სწორედ ეს ორი გაბატონებული განწყობილება ქმნიდა ილიუზიას მომავალ სახალხო რევოლირციის შესახებ რომელიც უნდა აღმოცენებულიყო ნაციონალურ თავდაცვის ნიადაგზე.

ამ წერილის ავტორებს აზრით, ეს „სახალხო რევოლიუცია“ უნდა მოეხდინა პროლეტარიატს და დემოკრატიას.

რა არის პროლეტარიატი ჩვენ ვიცით, მაგრამ რაა დემოკრატია, ეს კი ბურუსით იყო მოცული, ალბათ, ავტორებს აქ მხედველობაში ყავდათ წვრილი მრეწველი და ვაჭრული ბურჟუაზია, ინტელიგენცია და გლეხობა.

მაგრამ მათ ავიწყდებოდათ, რომ ნაციონალურ ბურჟუაზიული რევოლიუცია რუსეთში შეუძლებელი იყო,ვინაიდან არ იყო ნამდვილი რევოლიუციონური ბურჟუაზიული დემოკრატია.

ხელოსნურმა და ვაჭრულმა წვრილმა ბურჟუაზიამ ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლიუციის დროს ითამაშა უმნიშვნელო როლი. მას შემდეგ სოციალური მნიშვნელობა ამ ფენისა უფრო დაეცა: კაპიტალიზმი ჩვენში უსწორდებოდა შუათანა კლასებს გაცილებით უფრო სასტიკად, ვიდრე ძველ ეკონომიურ კულტურის ქვეყნებში.

ინტელიგენცია, მართალია, გაიზარდა, მაგრამ ამასთანავე ერთად გაქრა მისი წინანდელი მოჩვენებითი „დამოუკიდებლობაც“.

ინტელიგენციის სოციალური მნიშვნელობა სავსებით განისაზღვრება მისი როლით კაპიტალისტურ მეურნეობის ორგანიზაციაში და ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ აზროვნებაში, —როგორც ამბობს ერთ თავის წერილში ლ. ტროცკი.

კაპიტალიზმთან მისი მატერიალური კავშირის გამო ის სრულიად გაიკეთინთა იმპერიალისტური ტენდენციებით.

დარჩა გლეხობა. მაგრამ სასაცილოა ვიგულისხმოთ მისი დამოუკიდებელი რევოლიუციონური როლი.

მაშ ვისგან შესდგება ეს „დემოკრატია“, ვის ვაკისრებდით წინად რევოლიუციის გეგემონის როლს?

ყველა ის ფენები, რომლებიც ჩვენ ჩამოვთვალეთ, რევოლიუციის მოწინააღმდეგე ფრონტზე იყვნენ. უკეთეს შემთხვევაში ისინი იყვნენ რევოლიუციის ბალლასტი.

მართალია, მათში იყო უკმაყოფილება არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ, მაგრამ ისინი რევოლიუციამდე როდი მიდიოდენ.

ომში დამარცხების გამო მაშინ ადგილი ქონდა რევოლიუციის პრობლემას. მმართველი წრეების დეზორგანიზაცია პროგრესიულათ იზრდებოდა, ქალაქის და სოფლის მასსაში თანდათან იზრდებოდა უკმაყოფილება. მაგრამ რევოლიუციონურ ფაქტორად, რომელსაც შეეძლო ამ სიტუაციით სარგებლობა, იყო მხოლოთ პროლეტარიატი.

ეს აშკარად დავინახეთ თებერვლის რევოლიუციის პირველ დღეებშივე.

თებერვლის რევოლიუციაში გეგემონი იყო პროლეტარიატი. რევოლიუციის წითელი ალის გამო დამფრთხალი ბურჟუაზიული დემოკრატია კი იკრებდა უკანასკნელ ძალებს და უცხადებდა ბრძოლას რევოლიუციას, ამას ყველა ამჩნევდა, გარდა სოციალ-დემოკრატებისა ესერებისა, და სხვა ოპორტიუნისტულ პარტიებისა.

და მართლაც, ეს რევოლიუცია, ძირშივე დალპებოდა“, ს. სემკოვსკის თქმის არ იყოს, რომ ბოლშევიკებს არ აეღოთ ძალა-უფლება.

ეს ძველი ფრაქციული კამათი რევოლიუციის მამოძრავებელ ძალებსა და ორი ტაქტიკის შესახებ—გასწორება ბურჟუაზიულ ლიბერალიზმისკენ თუ ორიენტაცია პროლეტარიატისა და გლეხების კავშირისაკენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ—ისტორიამ გადასწყვიტა ბოლშევიკების სასარგებლოთ.

და დღეს მხოლოთ ფრაქციული ჟინიანობით უნდა იყოს დაბრმავებული ადამიანი, რომ ისევ ძველ დახავსებულ გზაზე იდგეს.

ჩვენში 12 ათასმა მუშამ უკვე შეიგნო ეს და დადგა რევოლიციონური მარქსიზმის გზაზე.

რუსეთის სოც.-დემ. პარტიაც ირაზმება დღეს ისტორიის მიერ გამართლებულ გზაზე.

განსხვავება ჩვენსა და რუსეთის მენშევიკებს შორის მხოლოთ ერთია: ჩვენში ლიდერები ჯერ კიდევ განზე დგანან, რუსეთში კი ლიდერები მუშებთან არიან, მათ პირველად აიმაღლეს ხმა რევოლიუციონური ხაზის გამოსწორების საჭიროების შესახებ.

მარტინოვი, როფკოვი, სემკოვსკი, ხინჩუკი, ეფოვი, პლესკოვი, გორევი,—და თვით მისკიც ესენი ყველა მენშევიკური პარტიის ცეკას ყოფილი წევრებია.

მათ საჭიროთ და ისტორიულად აუცილებლად დაინახეს ფენის გასწორება „მარცხნივ, კომუნისტურ ფლანგისკენ, რომელიც უფრო და უფრო ხდება გამომსახველი რევოლიუციონური აღფრთოვანების, მასსის გმირობის და ამავე დროს არის მატარებელი ნამდვილი რევოლიუციონური რეალიზმისა, რომელიც თავისუფალია წარსულ მშვიდობიან ეპოქისა და სასტიკ გამოცდილებით დამსხვრეულ წლების მიერ მემკვიდრეობით გადმოსულ ილუზიებიდან“.

საქართველოს სოც.-დემ. პარტიის ყოფილი ლიდერები კი მხოლოდ ახალ-ახალ პროფოკაციებისკენ მოუწოდებენ მასსას და ისე იხრებიან მარჯვნივ, რომ მათზე უფრო მარჯვნივ დღეს არავინაა დარჩენილი.

თუ რუსეთის მენშევიზმის ლიდერებმა დაინახეს ქვეყნისთვის საჭიროდ და აუცილებლათ რევოლიუციის მიერ წამოყენებულ ალტერნატივიდან: „ან დემოკრატიული რეფორმისტული სოციალიზმი, რომელიც პროლეტარიატის ბრძოლას ხელისუფლებისთვის და სოციალიზმისთვის სწვევს უკან საუკუნეების ბურუსიან სიშორეებიდან სოციალისტურ პარტიას ფაქტიურად ქმნის ბურჟუაზიულ პარტიის დამატებად და საფარად,—ან რევოლიუციონური მარქსიზმი, რომელიც ახალ ეპოქაში ათასჯერ გამწვავებულ წინააღმდეგობაში თავს უყრის მასსას სოციალურ რევოლიუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის დროშის ქვეშ,“—აირჩიეს უკანასკნელი გზა და მჭიდროდ ჩადგენ კომუნისტურ პარტიის მებრძოლ რიგებში, რატომ საქართველოს მენშევიზმის ლიდერები გაურბიან ამ გზას?

ამისი უმთავრესი მიზეზი უნდა ვეძიოთ ეროვნულ საკითხის ავადმყოფურ გალიზიანებაში და შოვინიზმში, რომელშიაც საშინლად და უიმედოთ იყო ჩაფლული ჩვენი ყოფ. პარტია.

მუშურმა ელემენტებმა სძლია ამ შოვინიზმს, გადალახა ავათმყოფური ნაციონალიზმი და მტკიცეთ დადგა რევოლიუციის ფართე გზაზე.

ინტელიგენტური ელემენტი კი ჯერ კიდევ თავბრუდასხმულია ამ შოვინიზმით, ის ჯერ კიდევ ღრმად არის ჩაფლული ავათმყოფურ ნაციონალიზმში. ეს იქიდანაც სჩანს, რომ ქართველ მენშევიკების არალეგალურ ლიტერატურაში ძნელად თუ შეხვდებით ლაპარაკს მუშათა კლასზე. აქ უმთავრესად ლაპარაკია ქართველ ერზე, მის სუვერენობაზე და სხვა.

მაგრამ ეს ბურუსი გაიკლის. ავადმყოფური შოვინიზმის ადგილს დაიჭერს სწორი კლასიური თვალსაზრისი და დიდი ნაწილი დღეს განზე გამდგარ მენშევიკ ინტელიგენტებისა დაუბრუნდება რევოლიუციის სწორ გზაზე დამდგარ მუშათა კლასს, ხოლო უიმედო ნაწილი სამუდამოთ გამოეთხოვება პროლეტარიატს და ორგანიულად შეუერთდება ისტორიის მიერ განწირულ კონსერვატიულ და რეაქციონურ ფენებს.

ა. რუხაძე.

## ეგერტ—შტრეზემან—რუპრეხტი.

როდესაც ვამბობთ ხოლმე, რომ გერმანიის ოფიციალური სოციალ-დემოკრატია დღეს ეღლარ გამოხატავს მუშათა კლასის ინტერესებს, რომ ის შეიძლება უნებურათაც, მაგრამ მაინც ძალიან საგრძნობლად მხარს უჭერს გერმანიაში ფაშიზმსა და მონარქისტული რესტვრაციას, ჩვენ, ყოფილ სოციალ-დემოკრატებს, ზოგიერთი ყოფილ ამხანაგები გვაგინებს.

მათ უკვირთ, როგორ შეიძლება ამის თქმა ისეთ პარტიაზე, როგორც გერმანიის სოციალ-დემოკრატია არის. მაგრამ ფაქტებს ვერსად წაუხვალთ.

გერმანიის უკანასკნელი კვირის ამბები, მკაფიოდ ადასტურებენ იმ აზრს, რომელზედაც ჩვენ ვადგვართ. როგორც მკითხველს მოეხსენება, გერმანიის სათავეში იდგა ეგრედ წოდებული დიდი კოალიცია ბატონ შტრეზემანის მეთაურობით.

ამ კოალიციაში შედიოდენ გერმანიის სოციალ-დემოკრატებიც: შემდეგ მათ დასტოვეს კაბინეტი, მაგრამ იმ პერიოდში, რომელზედაც ჩვენ ლაპარაკი გვაქვს, სოციალ-დემოკრატები მთავრობაში იყვნენ:

ბატონ შტრეზემანს, როგორც კაბინეტის თავმჯდომარეს მიმართა „მისმა პირადმა მეგობარმა"—კრონპრინც რუპრეხტმა თხოვნით, ოათა შეეშვა ის გერმანიის რესპუბლიკის საზღვრებში „საცხოვრებლათ." მთელი სამეფო გვარი გერმანიისა და მისი შემადგენელი სახელმწიფოებისა, გერმანიის რევოლიუციამ საზღვარ გარედ გადაისროლა.

დღეს გერმანიის შინაური ცხოვრების არევ-დარევის გამო თავი წამოყო ყველა შავოიზმელმა, ავანტიურისტებმა, ისინი სცდილობენ დაიბრუნონ კვლავ დაკარგული „სამეფო გვირგვინი" და თვის გვამით „დაამშვენონ" დიდი გერმანია.

რასაკვირველია ამ გვამთა შორის ერთი უპირველესი ადგილთაგანი კრონპრინც რუპრეხტს უჭირავს.

და აი ეს გაიძვერა სცდილობს რამე ნაირად შემოვიდეს გერმანიის საზღვრებში, ჩაერიოს მის აწყვილ დაწყვილ საქმეებში და მღვრიე წყალში თევზი დაიჭიროს".

ამ მიზნით ის სთხოვს ბატონ შტრეზემანს გერმანიაში შემოსვლის ნებართვას. ბატონი შტრეზემანი, რის შტრეზემანია, თუ რუპრეხტს არ შეეოუშვებს, მით უმეტეს, ალბათ ისინი „კარგი მეგობრებიც" კი ყოფილან, მაგრამ ის არც იმდენათ სულელია რომ თვის თავზე აიღოს სრული პასუხისმგებლობა.

მან კარგათ იცის რისთვის უნდა შემოსვლა კრონპრინცს გერმანიაში, ისიც კარგათ იცის. რომ პროლეტარიატი არ დაუშვებს მონარქიის აღდგენას გერმანიაში უბრძოლველათ და შტრეზემანიც ჩვეულებრივად მიმართავს სოციალ-დემოკრატიას.

— შემოუშვათ რუპრეხტი, იცხოვროს როგორც მოქალაქემ თვის ქვეყანაში. რა დაგვიშავდება ამით ჩვენ. გერმანია არ არის ღირსი რესპუბლიკისა თუ მას ერთი კაცის ეშინია. ბატონი მინისტრებიც, თითქოს აქ არაფერიაო, თანხმანი არიან—და კრონპრინცის პასპორტიც მზათ არის. იბადება კითხვა: ნუ თუ იმდენათ გულუბრყვილონი არიან სოციალ-დემოკრატი მინისტრები, რომ მათ არ იციან რუპრეხტის განზრახვანი?—ჩვენ ამას ვერ ვიტყვით.

და თუ კი იცოდენ, რათ აძლევდენ ნებართვას შემოსვლისა?

რა საჭირო იყო რუპრეხტი გერმანიაში?

ნუ თუ მათ არ იციან, რომ ბავარიის სულის ჩამდგმელთა ოცნებაა—რუპრეხტის სამეფო ტახტზე წამოსკუპება?

და თუ ეს იციან—და მაინც ნებართვას აძლევენ გერმანიაში შემოსვლისა, რა არის ეს, თუ არა ხელის შეწყობა მონარქიულ გადატრიალებისათვის. ჩვენ ვეკითხებით იმათ, ვინც ჩვენ გვაგინებს, არ გვეთანხმება, აგვიხსენით:- ნუ თუ მუშათა კლასმა საკუთარი ხელებით უნდა წამოიჯინოს თავზე იმპერატორი?

ან იქნება ესეც „დემოკრატიული ფრონტია?!

რა ჰქვია ასეთ საქციელს?

კლდე.

## ბოროტი მეზობელი.

საბჭოთა რესპუბლიკებს ყავს ერთი ახირებული მეზობელი. ეს იმ „კეთილ მეზობლის" ტიპია, რომელიც მთელი თავისი სულისკვეთებით ბოროტად არის განწყობილი იმ მეზობელთა მიმართ, რომელნიც ახალი ცხოვრების ფერხულში არიან ჩაბმულნი.

ჩვეულებრივი მოვლენაა თითქოს, გაუსწორებელი და ბოროტი მეზობელი ყოველთვის ჩხირკედელაობს, რაღაცას ებღაუჭება, ინტრიგებს აწყობს, ასეთი მეზობელი თავისი ბოროტებით თავის თავს უფრო ვნებს, ვიდრე სხვას. როგორც აღვნიშნეთ, ასეთი მეზობელი ყავს საბჭოთა რესპუბლიკებს. ეს მეზობელია პოლონეთი. იგი, მართალია, დამოუკიდებელ სახელმწიფოს უწოდებს თავს, მაგრამ არსებითად დამოკიდებულია პუანკარეს საბრძანებლოსაგან და ისე მიმართავს თავის პოლიტიკას, როგორც ამას ბატონი ინდომებს და ისურვებს.

ორივე კი ერთ წერტილში სცემენ. ბატონი და მონა შეთანხმებულია იმაში, რომ საბჭოთა რესპუბლიკებს შეუშალონ ხელი აღმშენებლობაში და არ მოაკლონ „მეზობლური დახმარება" ტერორით და სხვა მსგავსი საჩუქრებით.

უტვინო ადამიანი ყველაზედ უფრო თავის თავის მტერია და პოლონეთსაც ასეთი საქმე მოსდის: ბატონის მორჩილებას არ ღალატობს, მაგრამ თვითონ ნადგურდება. მას აღრჩობს სამხედრო ხარჯები, დანგრეულია მისი სამრეწველო ცხოვრება, გაპარტახებულია ქვეყანა და სხვა.

ბურჟუაზია განა ქვეყნის სარგებლობაზედ ოდესმე ოცნებობდა?ა რა. იგი მოგებას, ბატონობას, ეძებდა და თუ კი სხვა გზა აღარ არის დეე განადგურდეს ყოველივე, დაეცეს ხალხი, გაველურდეს ქვეყანა ოღონდ, განმტკიცდეს ოქროს ტახტი კაპიტალის ბატონობისა. ამ პრინციპს იცავს დღეს პანების პოლონეთიც. იგი საფრანგეთის მონად ხდის ქვეყანას, ოღონდ თავისი ბატონობა უზრუნველყოს.

მაგრამ არც იმდენად მტკიცეა პოლონეთის მდგომარეობა. უკანასკნელმა ამბებმა, კრაკოვის აჯანყებამ, ჯარის გადასვლამ აჯანყებულთა მხარეზედ, ნათელი გახადეს ის გარემოება, რომ პოლონეთში საკმაოდ არის ასაფეთქებელი მასალა, მართალია ჯერ-ჯერობით მოძრაობა დამარცხდა, მართალია სოციალისტურმა პარტიამ აქაც თავისი მოღალატური როლი შეასრულა, მაგრამ ეს კიდევ ვერ ფარავს იმ ჭეშმარიტებას, რომ პოლონეთის მუშათა მოძრაობას აქვს საკმაო ძალა და ენერგია. პოლონეთის ირგვლივ შექმნილი ობიექტიური პირობები მას გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს: ან უნდა დარჩეს ვასალურ მდგომარეობაში საფრანგეთის მიმართ, ან უნდა იყოს მარად საფრანგეთის პატარა აგენტი და ამით გადაიტანოს მთელი სიმძიმე სამხედრო მდგომარეობისა თავის თავზედ, რაც ქვეყანას მიაქანებს დაღუპვისაკენ, ანდა იგი უნდა დაუკავშირდეს საბჭოთა რესპუბლიკების ოჯახს და შესდგეს განვითარებისა და წინსვლის გზაზე.

ეს პირობებია შექმნილი არა მარტო პოლონეთისათვის, არამედ გერმანიისათვის და ოსმალებისათვის და საერთოდ ყველა იმ პატარა თუ დიდ ქვეყნისათვის, რომელნიც მოექცევენ ანტატის გავლენის ქვეშ, რომელსაც იყენებს ეს კავშირი თავის მიზნებისათვის.

პოლონეთი სათამაშოდ არის გამხდარი. პანები ვერ გადაარჩენენ პოლონეთს. პოლონეთის მუშათა კლასის მძლეობას შეუძლია მხოლოდ მისი ხსნა.

ეს მეზობელი დიდანობით ვერ გასძლებს ამ მდგომარეობაში. იგი დაცემის გზაზედ არის შემდგარი. ან უნდა განადგურდეს პოლონეთი, როგორც საფრანგეთის ვასალი, ან უნდა შეიქმნას მშრომელთა ბატონობა და განამტკიცოს თავისი ეროვნული არსებობა სოციალისტური ქვეყნების კავშირში.

კანი.

## პროფესიონალური მოძრაობა საქართველოში მენშევიკების დროს და ეხლა.

პროფესიონალური კავშირები საქართველოში სულს ღაფავდენ მენშევიკების დროს. მენშევიკების ტაქტიკამ, უშნო დიქტატორმა ალ. ხელაძემ სეით დევდარიანის და სხვების დირექტივებით სამარის კარამდე მიიყვანეს პროფ. მოძრაობა. სიტყვით ბევრს ყვიროდნენ პროფ. მოძრაობის დამოუკიდებლობაზე, მაგრამ საქმით სულ სხვა იყო.პროფკავშირებს წართმეული ჰქონდათ გაფიცვების უფლება, ჯამაგირების მომატებაზე ხმის დაძვრა.მათ უკანასკნელ ხანებში აუკრძალეს მცირედი ჯამაგირების თავის დროზე მიღებისათვის ხმის ამოღებაც კი. ავიღოთ ქალაქის თვითმართველობის კავშირის მოთხოვნილება, რომ სამი თვის შემდეგ მაინც მიეცათ მათთვის ის უმნიშვნელო კაპეიკები, რომელიც მათ ერგებოდათ. ამ გაფიცვის ისტორია მეტად საყურადღებოა. ის დაიწყო სრული თანხმობით, როგორც მენშევიკების, ის ბოლშევიკების და ესერებისა. ჩვენ ყველა გამოსული ვიყავით მოთმინებიდან და მოვითხოვდით ჩვენი ნაშრომის ხელფასს, რომელიც სა-

მი თვე არ მიგვეღო; ქალაქის კონფერენციამ გადასწყვიტა აირჩიოს გაფიცვის ხელმძღვანელი კომიტეტი; კომიტეტში შევიდა ორი მენშევიკი—თოფაძე და ჩილაჩავა, ორი ბოლშევიკი—ეგიკოვი და შავერდოვის ქალი, ესერებიდან ამხ. სიმონგულოვი. ამ კომიტეტმა ორი კვირა უცადა, რომ ქალაქის მენშევიკ მამებს დაეკმაყოფილებინათ მუშა—მოსამსახურეების სამართლიანი მოთხოვნილება. ბენია ჩხიკვიშვილმა, რომელიც ლოთობაში და გარყვნილებაში ატარებდა დროს, ასე უპასუხა კომიტეტს: მე მილიციის შეფი ვარ და მათი საშვალებით დაგთურგვნით თქვენ-"ო. საქმე პროფკავშირების საბჭოს სეკრეტარიატში იყო გადატანილი და უკანასკნელი ვადაც გასული იყო. რა ჰქნა სეკრეტარიატმა? აასრულა მან პროფესიონალური კავშირის სეკრეტარიატის მოვალეობა? —არა! მან უარჰყო გაფიცვის გამოცხადება და მოუწოდა არ გაფიცულიყვნენ. მაგრამ მათი გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ორ ამხანაგზე გავრცელდა, თუმცა ამხ. თოფაძემ, მაშინ სეკრეტარიატის წევრმა, გაფიცვის გამოცხადებას მისცა ხმა. პარტიულ დისციპლინის ძალით ჩვენ ჩამოვშორდით გაფიცვის კომიტეტს (ამხ. თოფაძე თავმჯდომარე იყო). მოთმინებიდან გამოსულმა მუშა-მოსამსახურეებმა თავისი ქნეს და გაფიცვა გამოაცხადეს. ამ დროს მენშევიკებს ჩამოშორდა 25% წევრებისა და გაჰყვა ბოლშევიკების გზას. ასეთმა ნაბიჯებმა გამოიწვია ის, რომ თბილისში არსებულ კავშირებში ჩვენ ჩამოგვშორდა თითქმის ორი მესამედი მუშებისა; ბოლშევიკებმა ჩაიგდეს ხელში თითქმის ყველა თვალსაჩინო კავშირები: მელითონეთა, მბეჭდავთა, ელექტრონის სადგურების, შოფერების, ნემსით მომუშავეთა და მეტყავეთა. აი ეს კავშირები გადავიდნენ ბოლშევიკების მხარეზე. მაგრამ, თუ იქ კიდევ ამ კავშირებში ჩვენი, მენშევიკების გამგეობა იყო, —ეს იყო ფაჩულია—კედიას დახმარებით; უკანასკნელად კიდეც დაიჭირეს განსაკუთრებული რაზმის აგენტი ბოლშევიკებმა მუშათა სასახლეში ფარმაცევტების კრებაზე.

1920 წელში პროფკავშირებში გამეფდა ფაჩულია—კედიას დიქტატურა, შეიქნა დაუნდობელი დევნა ბოლშევიკ-მუშებისა; იყო ისეთი შემთხვევებიც კი, რომ მთელი გამგეობებს ატუსაღებდნენ. ამ გვარი რეპრესიები უფრო აძლიერებდა ბოლშევიკებს და პროფკავშირებში ამათვე იგემეს მორალური გამარჯვებაც. ერთის მხრით აუტანელი ეკონომიური მდგომარეობა და მეორე მხრით უმგვანო დიქტატურა მძიმე ლოდივით დააწვა თავზე პროფკავშირებს. მათაც ხმა აღიმაღლეს და მოითხოვეს მდგომარეობის გაუმჯობესება, რამაც გამოიწვია ეკონომიური თათბირის მოწვევა, სადაც აშკარა შეიქნა, რომ მუშები, თვით მენშევიკები, უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ, უარს ამბობდნენ მეტი მოთმენის ატანაზე.

მუშები ასე უსვამდნენ კითხვებს მთავრობას: ვინ აგირჩიათ თქვენ? ვის საქმეს აკეთებთ? რატომ მთელი მდგომარეობის სიმძიმე ჩვენ, მუშებს, გვაწევს კისერზე? რათ არ ღებულობთ ზომებს ბურჟუა-სპეკულიანტების წინააღმდეგ და სხვ.

პასუხი ნოე რამიშვილისა, როგორც დიქტატორისა, რასაკვირველია, ვერ იყო დამაკმაყოფილებელი. მან ასეთი პასუხი გასცა ყველა ზევით დასმულ კითხვებზე: „ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, მუშათა პარტია ვართ, რომელიც დღეს სათავეში უდგია სახელმწიფოს და ვაკეთებთ ბურჟუა-კაპიტალისტების საქმესო; თუმცა თქვენ აგვირჩიეთ ჩვენ თქვენი საქმის გასაკეთებლად, მაგრამ თქვენც და ჩვენც ვაკეთებთ ბურჟუაზიის საქმეს; მთელი სიმძიმე თქვენ უნდა აიტანოთ; მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ულუფების მომატებაზე ლაპარაკიც კი მეტიაო“.

ასე უნაყოფოდ და უშედეგოდ ჩაიარა იმ ეკონომიურმა თათბირმა, რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებდნენ მუშები.

„ყოფილი“

## რატომ დავტოვე მენშევიკური პარტია.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, სხვა და სხვა მიზეზების გამო, მომიხდა სოფლად ცხოვრება. რასაკვირველია, ქალაქზე მოწყვეტილს მომდიოდა ცალ-მხრივი ინფორმაცია მუშების სასტიკ მდგომარეობის შესახებ, უცხოელების გაბატონებაზე და სხვ.. და მეც ამ ცნობების მიხედვით ვეწეოდი ცალ-მხრივ აგიტაციას გლეხობაში და ვამხედრებდი კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. როდესაც ხელისუფლებამ ჩემი დანაშაული გაიგო, გადასწყვიტა ჩემი დატუსაღება, მაგრამ მე ეს გადაწყვეტილება ადრე შევიტყვე და შევეკითხე „მოწინავე“ ამხანაგებს: „როგორ მოვიქცე-თქო“, მათ მიპასუხეს: „მიიმალე, მალე მოეღება ბოლო ამ ბოროტებას და მუშაობაში ჩაები“-ო და მეც მიმალვა და ტყეში გასვლა ვამჯობინე.

მე მინდა ვსთქვა, თუ რა „რევოლიუციონურ“ ლოზუნგებით გვიხდებოდა მაშინ გამოსვლა ხალხის ჩვენდა მოსამხრობათ. განცვიფრებაში მოხვალთ და თანაც გეწყინებათ, როდესაც გაიგებთ, რომ ის სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც სისხლიან ნიკოლოზის დროს ჰქონდა მდიდარი რევოლიუციონური წარსული, დღეს კონტრ-რევოლიუციონური ბაზის დასაყრდიობ ძალად გადაიქცა და რევოლიუციონურ წყობილების დროს მის საწინააღმდეგო ლოზუნგების წამოსროლა დასჭირდა. სასაცილოა ეს ლოზუნგები, თანაც სატირალი, მაგრამ რა ვქნათ, რევოლიუციით გარიყულებს ვერც კი მიენახათ ისეთი რამ ლოზუნგები, რომ ჩასწვდომოდა მუშის სულს და გულს, თუ არ კონტრ-რევოლიუციონური.

და სწორეთ მთავარ იარაღსა და საგიტაციო მასალას შეადგენდა ეს კონტრ-რევოლიუციონური ლოზუნგები, რომლითაც შეავსეს თავისი პროგრამა სოციალ-დემოკრატებმა.

ერთხელ, როდესაც დიდ-ხანს არავითარი ცნობა არ მოგვსვლია, გლეხობასაც მოსწყინდა ჩვენი თარეში, რადგან ყოველ-წუთს საშიშროება მოელოდა, თანაც მოწყინდათ ჩვენი „რადიო-ჭორები“, ალმაცურად დაგვიწყეს ცქერა. ჩვენც შევეცადეთ „ადგილობრივ რევოლიუციონური“ ლოზუნგის გადასროლა:

**„აღიმაღლეთ ხმა, ვერ ხედავთ, გინგრევენ საყვარელ ეკლესიებს, გიხპობენ რჯულს, მოითხოვეთ არ შეეხონ თქვენ სარწმუნოებას. „ნუ გეშინიათ, ცნობა მოგვივიდა პარიზიდან, რომ საფრანგეთის პარლამენტში პუანკარემ, კითხვა დასვა ჩვენ შესახებ და ჩვენი საკითხიც დადებითად გადაჭრა. ხვალ ან ზეგ მოვა პუანკარეს ჯარი, გარეკავს კომუნისტებს და დავიბრუნებთ თავისუფლებას, აღგიდგენენ ეკლესიებს და მიწებს ნორმას გაგიდიდებენ.**

ღარიბ-ღატაკებს კი ვეუბნებოდით: **„შენ ძმაო თუ შეძლებული გლეხი არ იქნა, უიმისოდ არსებობა არ შეგიძლია,- არ ჩახვიდე მის ადგილში, თორემ ვაი შენი ბრალი, მღვდელი და ეკლესია თუ არ გექნა მთლად გამხეცდები“-ო.**

გული მტკიოდა, პუანკარეს ჯარის ველოდებოდით საქართველოში დემოკრატიული წესწყობილების აღსადგენათ და გაძვალ-ტყავებულ გლეხებს, კულაკ გლეხების ტერორ ქვეშ ვაყენებდით. ჩვენ აშკარად ვხედავდით უმიწაწყლო გლეხების მტრულ განწყობილებას ჩვენდამი და სიყვარულისა საბჭოთა ხელისუფლებისადმი, რადგანაც კომუნისტურმა პარტიამ მათდა სასარგებლოთ გადასჭრა მიწის საკითხი.

გვრცხვენოდა ამ ლოზუნგებით ბრძოლა, მაგრამ რაკი შევიჭერით ამ კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობაში, თავი ვერ დავახწიეთ. განსაკუთრებით მე ვიყავი ასეთ ლოზუნგების წინააღმდეგი, მაგრამ საშვალება არ მქონდა მენახა ვინმე და გამეზიარებია ჩემი სევდა-წუხილი, მთლად კონტრ-რევოლიუციონურ ბანაკში გადატოპვის შესახებ. ჩვენ გვაწუხებდა, რომ სოციალ-დემოკრატიის რევოლიუციას კონტრ-რევოლიუცია, რეაქციამდე მივყავდით, ჩვენ გსურდა რევოლიუცია და არა კონტრ-რევოლიუცია. ერთ დიდ რევოლიუციონურ საკითხათ ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებს, ერთვნული საკითხი დარჩენოდათ, მაგრამ მე-12 კომუნისტურმა ყრილობამ, ეს საკითხიც მათ დასასამარებლად გადასჭრა.

სად არის რევოლიუციონური ლოზუნგები?! რვა საათის სამუშაო დღე, მუშათა კონტროლი, მიწა მშრომელ გლეხს?! ეს საკითხი კი უკვე რევოლიუციამ ამოსწურა და დღეს მუშა და გლეხი ხომ ბატონ-პატრონია სახელმწიფოსი!

მოხეტიალე, ჭორიკანა, უმადურები, რომ წაიკითხავენ ამ ჩემ წერილს, მოღალატის და მოსყიდულ აგენტის სახელით მომნათლავენ, მაგრამ მე არ მეშინია ამ სახელის, რადგან ნურას უკაცრავად, რომ ზურგი შევაქციე კონტრ-რევოლიუციას და მოვედი რევოლიუციასთან, რათა დავიცვა რევოლიუცია შავ-ბნელ რეაქციიდან-მსოფლიო ფაშიზმიდან.

მე დავრწმუნდი, რომ კომუნისტურ რევოლიუციონურ ლოზუნგებს, საბრძოლველად, სოციალ-დემოკრატებმა კონტრ-რევოლიუციონური ლოზუნგები წამოუყენეს.

რევოლიუციას კონტრ-რევოლიუცია დაუპირდაპირდა, საერთო-შორისო მასშტაბით და არასოდეს არ ყოფილა საჭირო მუშათა კლასის გაერთიანება, შედუღება ისე, როგორც დღეს. და ამისათვის ავირჩიე მეც ახალი გზა.

მე დავინახე ჩემი თვალებით, რომ კომუნისტები კაცი-ჭამიები არ ყოფილან, არამედ უბრალო მუშები. რასაკვირველია ფუფუნებაში

ალზრდილ ბურჟუაზიას, არ მოსწონს დაკოროვებულ მუშის ხელში სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, მისი მტკიცე კანონები, ურყევი და შუცვლელი.

მაგრამ მუშა-მუშას შეხვდა, ძმა-ძმასთან მივიდა. ძველ-ძმებ რევოლიუციონერებთან შეეცდებით ჩატეხილ ხიდის კვლავ განახლებას. და თუ რევოლიუციონერ ძმებთან მისვლა, მოხეტიალე გზა-აბნეულ უმადურ ელემენტებს ღალატათ მიაჩნიათ, მაშინ მღვდელ-კულაკებთან და ბუანკარესთან ლაქუცი რევოლიუციონერობაა?!. ჩვენ გვსურს შეერთება და ჩვენი სისხლით შელებილ წითელ დროშის ერთად დაცვა მსოფლიო კონტრ-რევოლიუციიდან და გამარჯვებით წინ სვლა, ყველა ქვეყნებში სოციალისტურ რევოლიუციისაკენ.

ილიკო ჯუღელი.

# გარდამავალი პერიოდი.

ჩვენ გავითვალისწინეთ კაპიტალიზმის ტენდენციები. აღვნიშნეთ, რომ იმპერიალიზმი იწვევს ომებსა და სამხედრო კონფლიკტებს, რომლის საშუალებით მთელი მსოფლიო გადაყოფილი არის რამდენიმე კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის. განვითარებული ქვეყნები ახდენენ ექსპლოატაციას ჩამორჩენილ ქვეყნებზედ და ნაციონალური მრეწველობის ფაბრიკანტებისათვის ქმნიან მონოპოლიურ ბაზრებს. ამხ. ლენინი თავისი წიგნში: „იმპერიალიზმი როგორც უახლოესი ეტაპი კაპიტალიზმისა“, სწერს: „ამნაირად, საფინანსო კაპიტალი შეიძლება ითქვას, მთელი მსოფლიოს ყველა კუთხეში აბამს თავის ქსელს. ამ შემოხვევაში დიდი როლს თამაშობს ბანკები, დაარსებული კოლონიებში, აგრეთვე მათი განყოფილებები. გერმანელი იმპერიალისტები შურით შეყურებენ „ძველ“ კოლონიალურ სახელმწიფოებს, რომელთაც ამ მხრით განსაკუთრებით წარმატებულად უზრუნველყოფიათ თავი. ინგლისს 1904 წ. ჰქონდა 50 კოლონიალური ბანკი, რომელსაც თავის მხრით 2279 განყოფილება ქონდა (1910 წ.—უკვე 74 ბანკი 5449 განყოფილებებით); საფრანგეთს ქონდა 20 ბანკი 136 განყოფილებით, ჰოლანდიას—16,—68 განყოფილებით, გერმანიას „მარტოოდენ“ ცამეტი—70 განყოფილებით. ამერიკის კაპიტალისტებს კი ინგლისელთა და გერმანელების ბედი შურთ: „სამხრეთ აფრიკაში—სჩიოდენ ისინი 1915 წ.—5 გერმანულ ბანკს 40 განყოფილება აქვს-და 5 ინგლისურს—70... ინგლისმა და გერმანიამ ამ უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში—არგენტინასა, ბრაზილიასა და ურაგვაიაში მოათავსეს დაახლოვებით 4 მილიონი (მილიარდი) დოლარი. ამის შედეგი ისაა, რომ ზემოხსენებულ ქვეყნების მთელი ვაჭრობის 46% ისინი სარგებლობენ“.

იმ ქვეყნებმა, რომლებთაც კაპიტალი გააქვთ, ასე ვთქვათ, გაინაწილეს თავიანთ შორის მთელი მსოფლიო. მაგრამ საფინანსო კაპიტალმა გამოიწვია მსოფლიოს პირდაპირი დატაცება“. *).

*) ლენინი—„იმპერ. როგორც უახლოესი ეტაპი კაპიტალიზმისა.“ გვ. 56.

ეს მდგომარეობა კი იწვევს ქვეყნების „დატაცებას“. რამდენადაც ძლიერია ქვეყანა, იმდენად ძლიერია მასში სურვილი სხვა ქვეყნების დამონებისა. მხოლოდ წვრილს, უსუსურსა და უძლურ ქვეყანას შეუძლია სამართლიანობაზედ ლაპარაკი, რადგან მას უსამართლოდ ექცევიან, ხოლო ძლიერი და ღონიერი ქვეყნები ცეცხლითა და მახვილით ანადგურებენ ჩამორჩენილ ქვეყნებს. კოლონიალური პოლიტიკის ისტორია,—ისტორიაა ჩამორჩენილ ერთა ტრაგედიისა, მათი ვაებისა და ტანჯვისა, მათი განადგურებისა და გაყიდვისა მეტროპოლიათა კაპიტალის მაგნატების მიერ.

რანაირად დამთავრდა მსოფლიოს განაწილება მე-19 და მე-20 საუკუნეთა მიჯნაზე? შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს, თუ რა სახე მიიღო კოლონიალურ სამფლობელოთა გაფართოვებამ: დიდ სახელმწიფოთა კოლონიალური სამფლობელოები (მილ. კილ. მილ. მცხოვრ.):

| | კოლონიები. | | | | მეტროპოლიები. | | | | სულ. | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1876 წ. | | 1914 წ. | | 1914 წ. | | 1914 წ. | | | | | |
| | კვ. კილ. | მცხოვ. | კვ. კილ. | მცხოვ. | კვ. კილ. | მცხოვ. | კვ. კილ. | მცხოვ. | | | | |
| ინგლისი . . . . | 22.5 | 251.5 | 33.5 | 393.5 | 0.3 | 46.5 | 33.8 | 440.0 | | | | |
| რუსეთი . . . . . | 17.0 | 15.9 | 17.4 | 33.2 | 5.1 | 136.2 | 22.8 | 169.4 | | | | |
| საფრანგეთი . . | 0.9 | 6.0 | 10.6 | 55.5 | 0.5 | 39.6 | 11.1 | 95.1 | | | | |
| გერმანია . . . . | — | — | 2.9 | 12.3 | 0.5 | 64.9 | 3.4 | 77.2 | | | | |
| შეერთ. შტატები | — | — | 0.3 | 9.7 | 9.4 | 97.0 | 9.7 | 106.7 | | | | |
| იაპონია . . . . . | — | — | 0.3 | 19.2 | 0.4 | 53.0 | 0.7 | 72.8 | | | | |
| სულ 6 დიდ სახელმწიფოს . . | 4.4. | 273.8 | 65.0 | 523.4 | 16.5 | 437.2 | 81.5 | 960.6 | **) | | | |

**) ibid—გვ. 68.

ამხ. ლენინი განაგრძობს: „დიდი და ძლიერი იყო უკანასკნელ ათეულ წელთა განმავლობაში მსოფლიოს ნიველიროვკისადმი მიდრეკილება; მსხვილი გაცვლა-გამოცვლის, საფინანსო კაპიტალის და მრეწველობის გავლენით სხვადასხვა ქვეყნებში ხდებოდა მეურნეობის და ცხოვრების პირობათა გათანასწორება; მაგრამ განსხვავება მაინც დიდი რჩებოდა და ჩვენ ვხედავთ ზემოხსენებულ ექვს სახელმწიფოში ერთის მხრივ—ახალგაზრდა, არაჩვეულებრივად სწრაფად წინ მავალ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს (ამერიკა, გერმანია, იაპონია); მეორე მხრივ—ვხედავთ ძველ კაპიტალისტურ ქვეყნებს, რომლებიც უკანასკნელ ხანებში ზემოხსენებულ ახალგაზრდა სახელმწიფოებზე ბევრათ უფრო ნელა მიდიოდენ წინ (საფრანგეთი და ინგლისი); მესამე მხრივ—ჩვენ ვხედავთ ეკონომიურად ყველაზედ მეტად ჩამორჩენილ სახელმწიფოს; (რუსეთს) სადაც უახლოესი კაპიტალისტური იმპერიალიზმი გაბმულია კაპიტალისტურ წინა-ხანისებურ ურთიერთობათა სქელ ქსელში“.

ეს პროცესი თავისებურ მდგომარეობას ქმნის გარდამავალ პერიოდისათვის. კაპიტალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ძალთა შორის არის არა მარტო მუშათა კონტინგენტი, რომლის მნიშვნელოვანი პროცენტი მეტროპოლიებში პაციფისტურ სულისკვეთებით იყლინთება, არამედ ჩამორჩენილი ერებიც. დღეს ევროპის კაპიტალიზმს უპირისპირდება არა მარტო საბჭოთა რესპუბლიკები, სადაც გამარჯვებული შრომა ორგანიზაციულად რაზმავს თავის ძალებს გადამწყვეტი ბრძოლისათვის—არამედ მას უპირისპირდება აზიის ქვეყნების ეროვნული მოძრაობაც.

როდესაც ლენინმა ქემალ ფაშას ხელი გაუწოდა, ჩვენში იყვენ მრავლად ისეთი „პოლიტიკოსები“, რომლებმაც მორთეს ყვირილი—შეხედეთ, ბოლშევიკები რას სჩადიანო, სად სოციალიზმი, სად ქემალ ფაშასთან კავშირიო. მათ არ ესმოდათ ის დიდი პოლიტიკური აზრი, რომელიც იმარხებოდა ამ კავშირში. მორალურად და პოლიტიკურად უმტკიცებდა ეს კავშირი მთელი აზიის დამონებულ ხალხს, რომ მათ ყავთ მეგობარი და მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების სახით. ხოლო რეალურად ორივე მხარე ამ კავშირით სარგებლობდა, რადგან ორივე ერთ წერტილში სცემდა—ევროპის ბატონობის დამხობისათვის. ეს კონკრეტული ფაქტია იმის ნათელსაყოფად, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის დეგრადაციის ერთი ძლიერი ფაქტორია ჩამორჩენილი ქვეყნები, რომლებიც ეკონომიური კონიუნქტურის გამო იძულებულნი არიან იბრძოლონ მეტროპოლიის ბატონობის წინააღმდეგ.

მართალია ეს ბრძოლა ხშირად არ ატარებს სოციალისტურ ხასიათს, ხშირათ იგი ეროვნულ-ბურჟუაზიულ მოძრაობის სახით ვითარდება, მაგრამ რამდენადაც ბრძოლა და ანტაგონიზმი კოლონიებისა ხელს უწყობს მეტროპოლიის კაპიტალის დაცემას, რაც რეაქციის უმთავრესი ციტადელია, იმდენად ეს მოძრაობა არის ანგარიშში მისაღები რევოლიუციის სასარგებლოდ.

აქ იჩენს თავს ეროვნული მომენტის სიძლიერეც. ამას დიდ ანგარიშს უწევს კომუნისტური ინტერნაციონალი. იგი აყენებს კოლონიების განთავისუფლების პროგრამას და იცავს ერების სრული გამოყოფის უფლებას.

კერძოთ რუსეთის რევოლიუციაშიც ეროვნულმა მომენტმა ითამაშა დიდი როლი. ამხანაგი სტალინი კომპარტიის მე-12 ყრილობაზე თავის მოხსენებაში ამბობდა, რომ ჩვენი მხრივ არ მიიმართებოდეს ყოფილ დაჩაგრულ ერთა მოძრაობა ჩვენ ვერ შევსძლებდით ძალაუფლების შენარჩუნებასო. რეზოლიუციაში, ეროვნული საკითხის შესახებ ნათქვამია: ა) ერების მიმართ ყოველგვარი იძულებით ფორმების

გადაჭრით უარყოფა, ბ) ერების თანასწორობისა და სუვერენობის ცნობა თავისი ბედის მოწყობის საქმეში, გ) აღიარება იმ დებულებისა, რომ ერების მტკიცე გაერთიანება შესაძლოა მხოლოდ თანამშრომლობისა და ნებაყოფლობის საფუძველზე, დ) აღიარება იმ ჭეშმარიტებისა, რომ ასეთი გაერთიანების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ კაპიტალის დამხობის შემდეგ.

ერების განთავისუფლების ამ პროგრამას ჩვენი პარტია გამუდმებით უპირისპირებდა თავისი მუშაობის დროს, როგორც ცარიზმის აშკარა დაპყრობითი პოლიტიკას, ისე მენშევიკებისა და ესერების დღენაკლულ, ნახევრად იმპერიალისტურ პოლიტიკას.

მაშინ, როდესაც თვითმპყრობელობის რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ თვითმპყრობელობისა და ძველი რუსეთის ერების შორის უფსკრული გათხარა, ხოლო ესერებისა და მენშევიკების ნახევრად იმპერიალისტურმა პოლიტიკამ კი ამ ერებს საუკეთესო ელემენტების კერენშჩინასაგან ჩამოშორება გამოიწვია, ჩვენი პარტიის გამანთავისუფლებელმა პოლიკამ, სამაგიეროდ, მას ამ ერების ფართო მასების თანაგრძნობა და დახმარება მოუპოვა თვითმპყრობელობისა და რუსეთის იმპერიალისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. სავსებით ეჭვს გარეშეა ის გარემოება, რომ ამ თანაგრძნობისა და დახმარების მეოხებით შეიქმნა ის გადამჭრელი მომენტი, რომელმაც უზრუნველყო ჩვენი პარტიის გამარჯვება ოქტომბრის დღეებშიო"-ო *)

აი სწორეთ ასეთი სახით დააყენეს კომუნისტებმა ეროვნული საკითხის მნიშვნელობა, გაითვალისწინეს მისი როლი გარდამავალ პერიოდის ეპოქაში და შესძლეს მისი გამოყენება რევოლიუციონურ შემოქმედებაში.

ლენინი უეჭველად მართალი იყო, როდესაც ამბობდა, რომ სოციალისტურმა პარტიამ უნდა წამოაყენოს ერების განთავისუფლების პროგრამა, რომელიც დაიცავს ერთა უფლებებს გამოყოფვის უფლების მინიჭებითაო.

როგორც ვხედავთ, ევროპის კაპიტალიზმს უპირისპირდება დღეს—1) მუშათა კლასი კომპარტიის ხელმძღვანელობით (არის მუშათა არისტოკრატია მე-2 ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით, რომელიც პრივილეგიურ მდგომარეობაშია ჩაყენებული მეტროპოლის მიერ კოლონიების ხარჯზედ, ეს ნაწილი ყველაზედ მეტი ხელის შემშლელია რევოლიუციონურ მოძრაობის), 2) დამონებულ ერები, კოლონიები და ნახევრად კოლონიები (მათი ბრძოლადამოუკიდებლობისათვის პირდაპირ სცემს ევროპის კაპიტალიზმის ბატონობას), 3) ოკეანეს გაღმა ქვეყნები და იაპონიის იმპერიალიზმი, რომლებმაც ომის დროს განსაკუთრებული სისწრაფით გააუმჯობესეს წარმოება და უმთავრესად პირველმა—ოკეანეს გაღმა ქვეყნებმა დაავალიანეს მთელი ევროპა, დაიპყრეს ევროპის ბაზარი, 4) ომის შედეგები—განადგურებული ევროპა, რომელიც ვერ აღწევს თავს ანარქიასა და სამეურნეო ურთიერობას და დამოკიდებულებას ხელს უშლის, 5) საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი, რომელიც მთელი მსოფლიოს ერთ მეექვსედზედ არის მოფენილი, რომელიც არის აქტიური მებრძოლი ძალა კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ეს არის მთავარი რეზერვუარი რევოლიუციონურ ენერგიის და ხელმძღვანელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის.

ყველა ეს ფაქტორები ჰქმნიან დღეს კაპიტალიზმის დეგრადაციას. კაპიტალისტური ქვეყნები ვერ აღწევენ თავს კრიზისებს და დეპრესიას, ეს კი ობიექტიურად მიაქანებს კაცობრიობას ახალი სოციალური შენობის აგებისაკენ.

აკ. კალაძე.

*) რუსეთის კომუნისტ. პარტიის მეთორმეტე ყრილობის რეზოლიუც. გვერ. 90—91.

# იმპერიალიზმი თუ სოციალიზმი.

თანამედროვე გარდამავალ პერდიოდში მსოფლიო გაიყო ორ დიდ ბანაკად. ფინანსიურმა კაპიტალიზმმა და მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა, რომელმაც გაანადგურა ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება და გამოიწვია მსოფლიო ეკონომიური კრიზისი,—ერთიმეორესადმი დაუპირდაპირა ორი დიამეტრალურად მოწინააღმდეგე ბანაკი: რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუცია.

ასე რომ საერთაშორისო კლასობრივი ბრძოლის არენაზედ კატეგორიულად დაისვა საკითხი: იმპერიალიზმი თუ სოციალიზმი?

მეომარი იმპერიალიზმი, რომელიც დღეს თანამედროვე პირობებში ლამობს მსოფლიო თავის საკუთარ ეკონომიურ და პოლიტიკურ კოლონიად გარდაქციოს, მიისწრაფვის თავის კლასიურ დიქტატურის განმტკიცება-გაძლიერებისაკენ.

კაპიტალიზმის და პარლამენტარიზმის გამაგრება,—აი დღევანდელი მეომარ იმპერიალიზმის ლოზუნგი, რომლის დროშის ქვეშ ხდება მსოფლიო რეაქციის და მსოფლიო ფაშიზმის ორგანიზაციულ-პოლიტიკური დარაზმვა და ამ მიმართულებით ენერგიული ბრძოლის წარმოებაც.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ იმპერიალისტური კაპიტალიზმი მსოფლიო ომით გამოწვეულ შედეგებით ანადგურებს თავის-თავს და ქმნის იმ ახალ საერთაშორისო რევოლიუციონურ სიტუაციას ახალ სოციალ-ეკონომიურ სტრუქტურისათვის, რომლის რევოლიუციონურ შემომქმედი პროლეტარული კლასია, როგორც პოლიტიკური ძალა-უფლების სუბიექტი.

კაპიტალიზმმა თანამედროვე ისტორიულ პერიოდში დაჰკარგა თვისი რევოლიუციონური როლი, რადგან ის გარდაიქცა რეაქციონურ კლასად, იმპერიალიზმის სუბიექტად, რომლის გამოც, მას ვერ ძალუძს გახდეს დღეს ქვეყნის ეკონომიური ორგანიზმის აღორძინების შემომქმედათ.

თანამედროვე კაპიტალისტური ბურჟუაზია მოწადინებულია მხოლოდ და მხოლოდ საწარმოო ძალთა გაპარტახებისათვის და მსოფლიო ეკონომიურ ცხოვრების განადგურებისათვის.

მართალია, ანექსიის და კონტრიბუციის განხორციელების იდეით შეპყრობილი კონტრ-რევოლიუცია და კოლონიალურ-მტაცებლური ტენდენციით გამსჭვალული მეომარი იმპერიალიზმი,—აწარმოებს დღეს სასტიკ ბრძოლას „კაპიტალიზმის მესაფლავის", სოციალისტური პროლეტარიატის წინააღმდეგ, მაგრამ ამაოდ, კაპიტალიზმის ბედი, რომელიც ისტორიულ და ეკონომიური აუცილებლობის ძალით სასიკვდილოთ განწირულია, ვერ უშველის ვერავითარი ძალა. ვერც ვანდერველდენოსკე-შეიდემან-დევდარიანების შეუბრალებელი გულისწყრომა სოციალურ რევოლიუციისადმი, ვერც მათი უტოპიურ-შოვინისტური ძახილი „უკან კაპიტალიზმისაკენ" და ვერც თვით იმ ფაშიზმის გაძლიერებაც, რომელიც წარმოადგენს კაპიტალიზმის უკანასკნელ სიტყვას, და რომლის არსებობას თანამედროვე ისტორიულ პერიოდში . უაღრესად დროული და ეფემერული ხასიათი აქვს.

მაგრამ აი აქ ჩვენ წინაშე ისმის ამგვარი ხასიათის საკითხი: მართებულია თუ არა თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიურ პირობებში პროლეტარიატის ბრძოლა სოციალური რევოლიუციისთვის? და მასთანვე, დღეს შესძლებს თუ არა პროლეტარიატი გახდეს პოლიტიკური ძალა-უფლების სუბიექტი, რომ მით ააფეთქოს თანამედროვე კაპიტალისტური სამყარო?

ავალაპარაკოთ თვით კ. მარქსი და განვიხილოთ მისი აზრები რევოლიუციის შესახებ.

ის ამბობს:

„რამდენადაც შრომის პროცესი უბრალო პროცესია ადამიანთა და ბუნების შორის, იმდენად მისი უბრალო ელემენტები უცვლელნი რჩებიან მისი განვითარების ყოველგვარ საზოგადოებრივი ფორმების დროს. მაგრამ ამ პროცესის ყოველი გარკვეული ისტორიული ფორმა ანვითარებს მის მატერიალურ საფუძვლებს და მის საზოგადოებრივ ფორმებს. მაშინ, როდესაც არსებული ისტორიული ფორმა სიმწიფის განსაზღვრულ საფეხურზე მივა, იგი ისპობა და ადგილს უთმობს მაღალ ფორმას. რომ ასეთი კრიზისის მომენტი დადგა, ეს მოდავნდება მაშინ, როდესაც წინააღმდეგობა და მოპირდაპირეობა განაწილების ურთიერთობასა, და, მაშასადამე, მასთან შეფარდებულ წარმოების ურთიერთობის განსაზღვრულ ისტორიულ სახესა—ერთის მხრივ, და საწარმოვო ძალებს შორის, მეორეს მხრივ, აღწევს გარკვეულ სიღრმეს და სიგანეს. მაშინ ხდება შეტაკება წარმოების მატერიალურ განვითარებასა და მის საზოგადოებრივ ფორმას შორის".

(კაპიტალი. გვ. 420).

ამ რიგად, მარქსიზმის და რევოლიუციონური სოციალიზმის თვალსაზრისით გამოდის, რომ რევოლიუცია ხდება მაშინ, როცა თავს იჩენს მწვავე კონფლიქტი საწარმოვო ძალებსა და წარმოებითი ურთიერთობათა შორის.

ამასვე ამბობს კ. მარქსი „პოლიტიკურ ეკონომიის კრიტიკაშიც", სადაც ატარებს იმ აზრს, რომ აფეთქება, გადატრიალება, რევოლიუცია წარმოიშვება სწორედ იმ დროს, როდესაც ირღვევა წონასწორობა და მყარდება კონფლიქტი საწარმოვო ძალთა და ეკონომიკის შორის.

და აი, აქ ისმის საკითხი:

განა ფინანსიური კაპიტალიზმი და მისი ეკონომიური პოლიტიკა იმპერიალიზმი, ამ საწარმოო ძალთა და წარმოებითი ურთიერთობათა შორის მწვავე კონფლიქტის არსებობის მომასწავებელი არ არის?

და თუ კი ასეთი კონფლიქტების შედეგი რევოლიუციაა, მაშინ ფინანსიური კაპიტალიზმის ლოლიკური განვითარების რეზულტატი პროლეტარიატის დიქტატურა და სოციალური რევოლიუცია არ უნდა იყვეს?

რასაკვირველია.

„ახალი რევოლიუცია შესაძლებელია მხოლოდ ახალი კრიზისის თანხლებით, მხოლოდ რევოლიუციის წარმოშვება ისევე უეჭველია, როგორც უეჭველია თვით კრიზისის წარმოშობა"-ო,—ამბობს კ. მარქსი.

დიახ! თანამედროვე ეკონომიური კრიზისი, რომელიც მსოფლიო ხასიათისაა, უთუოდ სოციალური რევოლიუციის დასაწყისის მომასწავებელია, იმ რევოლიუციის, რომელმაც ძირფესვიანად უნდა აღმოფხვრას ძველი საზოგადოებრივი შენობა და დაამხოს ძველი ძალაუფლება.

რასაკვირველია, პროლეტარულ რევოლიუცია წარმოუდგენელია ობიექტიურ და სუბიექტიურ პირობათა მომწიფების გარეშე. ეს უდავო ჭეშმარიტებაა.

მაგრამ, თანამედროვე ფინანსიური კაპიტალიზმი, რომელიც საბოლოვო ფორმაა ბურჟუაზიული წარმოებისა და კაპიტალისტური წესწყობილებისა, ფინანსიური კაპიტალიზმი, რომელიც იმპერიალიზმის უკანასკნელი სტადიაა და გულისხმობს საწარმოვო ძალთა უაღრეს განვითარებას, კაპიტალის კონცენტრაციას ერთის მხრივ, მხოლოდ მეორეს მხრივ, პროლეტარიზაციას—აი ეს ფინანსიური კაპიტალიზმი თვისი მწვავე ეკონომიური კრიზისის შედეგებით, უთუოდ დამამტკიცებელია იმისა, რომ ის არის გზა სოციალურ რევოლიუციისა და წარმოადგენს ლოლიკურ პრელიუდიას პროლეტარიატის დიქტატურისათვის.

აი რას ლაპარაკობდა 1914 წლამდე მე II-ე ინტერნაციონალის გმირი ოტტო ბაუერი ამის შესახებ.

„.....უეჭველია, რომ მსოფლიო იმპერიალისტური ომი თვის შედეგად გამოიწვევს რევოლიუციონურ გადატრიალებას.... მსოფლიო იმპერიალისტური კატასტროფა უთუოდ იქნება დასაწყისი მსოფლიო სოციალისტური გადატრიალებისა".

გერმანიის სოციალ-დემოკრატია კი თვის ოფიციალურ პარტიის ბროშიურაში 1912 წელს („იმპერიალიზმი თუ სოციალიზმი") სწერდა:

„რომ შესაძლებელი ყოფილიყო შეცვლა კაპიტალის 300 მაგნატისა პროლეტარიატის ნდობით აღჭურვილი პირებით, მაშინ მეტად ადვილი შეიქნებოდა მიმართვა მთელი წარმოებისა მუშათა კლასის ინტერესთა სასარგებლოდ კაპიტალის ინტერესების მაგიერ; და ამით დაედებოდა დასაბამი წარმოების სოციალისტურ ორგანიზაციაზე გადასვლას. უკვე იმდენად მომწიფდა წინასწარი მუშაობა, შესრულებული კაპიტალიზმის მიერ".

ახლა მოვუსმინოთ აგვუსტ ბებელს, რომელმაც რეიხსტაგში მაროკკოს გარშემო ამტყდარ დებატების დროს წარმოსთქვა:

„მაშინ მოხდება **კატასტროფა**. მაშინ დაიწყება ევროპაში უდიდესი ომი, როგორიც არ ახსოვს ქვეყნიერებას, ომი, რომელშიც 16-დან 18 მილიონამდე ხალხი, ყველა ეროვნებათა მშვენება, შეიარაღებული სიკვდილის საუკეთესო იარაღებით, ეკვეთება ერთი მეორეს".

„მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ **უდიდესს მსოფლიო ომს ზურგს უკან უდგას უდიდესი მსოფლიო რევოლიუცია**... თქვენ მოიმკით იმას, რაც დაგითესიათ. იწყება ღმერთთა მწუხრი ბურჟუაზიული წყობილებისათვის. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონებო: ეს მწუხრი უკვე სულ ახლოა. თქვენ მიხვედით ახლა იმ პუნქტამდე, როდესაც თვითვე უთხრით საფუძველს თქვენს სახელმწიფოებრივსა და საზოგადოებრივ წყობილებას, თქვენვე ხართ მიზეზი, რომ უკვე ისმის სამგლოვიარო რეკა თქვენი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების დასამარების წინ".

ეხლა მოვიყვანოთ ენგელსის სიკვდილის შემდეგ II-რე ინტერნაციონალში ცნობილ ავტორიტეტის, კ. კაუცკის აზრი მსოფლიო ომის წარმოშობამდე, რევოლიუციის და კაპიტალიზმის ისტორიული შეუსაბამობის შესახებ.

ის ამბობს:

„**ДЕ ЕЗ-УКВЕ СОЦИАЛИЗМИ ГАРДАИКЦА ЕКОНОМИОУР АУЦИЕЛЕБЛЕМБАД, МИСИ ДАМЕЧАРЕБИС ДРО АРИС МХОЛОДО САКИТХИ ДАЛИСА.** და ამიტომაც საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის მთავარ ამოცანას შეადგენს—მისცეს პროლეტარიატს ეს ძალა ორგანიზაციის და განათლების საქმეში დახმარების აღმოჩენის საშუალებით. არ არის არაფერი არაჩვეულებრივი იმაზე, ვიდრე ის სოციალისტები, რომელნიც ფიქრობენ, რომ დდეს კიდევ **საჭირო არის მზრუნველობა კაპიტალიზმის ძალთა მომავალ განვითარების შესახებ**"-ო. (კურსივი ავტორისაა. **შ. ა.** „სოციალიზმი და კოლონიალური პოლიტიკა").

აი აქვე, ამავე ბროშიურაში კაუცკი განაგრძობს:

„ჩვენი მიზანი უნდა იყვეს: კოლონიალური პოლიტიკისაგან გამიჯვნა და განთავისუფლება იმ ნაციებისა, რომელნიც სცხოვრობენ ამ კოლონიებში. მაგრამ ამაზედ ლაპარაკი კი, შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარიატის თვალსაზრისით"-ო.

აი ასე რევოლიუციონურად აზროვნებდა კ. კაუცკი 1907 წელს, ის კაუცკი, რომელიც დღესაც იმ II-რე ინტერნაციონალის პიონერია, რომელიც 1914 წლიდან მხარს უჭერს იმპერიალისტურს ომს და ბურჟუაზიასთან კლასობრივი თანამშრომლობის წარმოებით ენერგიულად იბრძვის იმპერიალიზმთან ერთად კაპიტალიზმის განმტკიცებისათვის.

და საერთოდ, ასე წმინდა შარქსისტულად აზროვნებდენ 1914 წლამდე ცნობილი წარმომადგენელნი II-რე ინტერნაციონალისა, იმ ინტერნაციონალის, რომელიც დღეს უკვე ფაშიზმის აშკარა იარაღად და დამხმარე ძალად გარდაიქცა მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის წინააღმდეგ.

ასე რომ, ყოფილ საერთაშორისო სოციალიზმის ვეტერანთა დამოწმებით დავინახავეთ, რომ კაპიტალიზმმა ამოსწურა თავის სასიცოცხლო ძალები, იმპერიალიზმის და კოლონიალური პოლიტიკის სახით შეასრულა თვისი ისტორიული მისსია და გადაიქცა იმ რეაქციონურ ფაქტორად, რომელსაც დღეს მხოლოდ შესწევს ძალა ეკონომიურ ცხოვრებაში განავითაროს ანარქია, კრიზისი და მეტი არაფერი.

მაშასადამე ის უნდა ჩაბარდეს ისტორიულ არხივს და მის ნანგრევებზედ უნდა აღმოცენდეს სოციალიზმი. ასეთია მოკლედ დედა-აზრი ზემო თქმულისა.

და აი ჩვენ უკვე ვიცით, რომ დღეს, თანამედროვე პოლიტიკური ბრძოლის ავანსცენაზედ კიდეც გაჩაღდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შორის, ბრძოლა იმ რევოლიუციონურ პროლეტარიატს და ისტორიულად განწირულ კაპიტალიზმს შორის, რომელიც დღითი-დღე, გიგანტიური სისწრაფით ღებულობს უფრო მეტად და მეტად მწვავე და სუსხიან ხასიათს.

მუშათა კლასი იბრძვის სოციალური რევოლიუციისათვის, ის იბრძვის პოლიტიკური ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის.

მართალია, რევოლიუციონური მუშათა კლასი,—განიცდის დიდ იერიშებს და შეტევებს ბურჟუაზიულ ფრონტიდან, და მრავალ შემთხვევებში, ეს შეტევები გამარჯვებითაც ბოლოვდებიან, **მაგრამ ამით არ მთავრდება ყოველივე**, როგორც ამას ფიქრობენ მე-II ინტერნაციონალის ის „სოციალისტები", რომელნიც ფაშიზმის გამარჯვებით აღტაცებას მოდიან, ხედავენ რა მასში კომინტერნის მიერ წამოყენებულ პროგრამის „დამარცხებას".

არა. შესაძლებელია ბურჟუაზიამ გაიმარჯვოს, მაგრამ მის გამარჯვებას დღეს, უაღრესად დროული და ეფემერული ხასიათი აქვს. რატომ? ერთი იმიტომ, რომ ეკონომიური აუცილებელობის ძალით კიპიტალიზმის ბედი განწირულია, და მეორეს მხრივ, იმიტომ რომ თუ ბრძოლის პროცესში დამარცხდა პროლეტარიატი, ის არ ჰყრის ბრძოლის ფარხმალს და არც ცდილობს ობლომოვის ლოგინზე დაწოლას; პირიქით, დამარცხებისთანავე ის უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე აწარმოებს მის მიმართ ბრძოლას და წინააღმდეგობას, იმ წინააღმდეგობას, რომელსაც პროლეტარიატი მიჰყავს წინ, სოციალიზმის საბოლოვო გამარჯვებისაკენ.

ჰეგელი იტყოდა: „წინააღმდეგობას წინ მივყევართო".

და ბუმბერაზ ფილოსოფოსის ეს აზრი, მართლდება სინამდვილეში.

როგორ პოლიტიკას აწარმოებს ამ გადამწვეტ კლასობრივი ბრძოლის პროცესში II-რე ინტერნაციონალი?

მე-II ინტერნაციონალი, როგორც საერთაშორისო ოპორტიუნიზმის ცენტრი, არამც თუ მხარს უჭერს სოციალურ **რევოლიუციას** და მისთვის კლასობრივ ბრძოლას აწარმოებს, არამედ, პირიქით, კაპიტალიზმის რესტავრაციის ნიადაგზედ იმპერიალიზმთან კლასიური თანამშრომლობით იბრძვის პროლეტარიატის დიქტატურის და სოციალიზმის წინააღმდეგ.

და რომ ეს მართლაც ასეა განა ამას არ ამტკიცებს მე-II ინტერნაციონალის მოქმედების ისტორია და მისი პრაქტიკა 1914 წლიდან იმპერიალიზმის და სოციალიზმის შეზავების მიმართულებით?

განა ამას არ ამტკიცებს მე-II ინტერნაციონალის თანამედროვე მოქმედების პროგრამაც ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმის და კაპიტალისტური სისტემის მხარის დაჭერით?.

დიახ, ყოველივე ეს ამის დამამტკიცებელია. მე-II ინტერნაციონალისათვის პარლამენტარიზმი და კაპიტალიზმი გარდაიქცა არა გზათ და საშუალებათ სოციალიზმისათვის, არამედ პირიქით, სოციალიზმი შეიქნა პარლამენტარიზმ-კაპიტალიზმისათვის. არა საშუალება მიზნისათვის, არამედ მიზანი საშუალებისათვის. მიზანი არარაობად იქცა, საშუალება კი ყველაფრად.

ამიტომაც იყო, რომ 1914 წელს გაიმარჯვა რევიზიონიზმმა, ფრთები შეისხა ოპორტიუნიზმმა, მუშათა კლასი გარდაიქცა იარაღად და კაპიტალისტური კლასის უბრალო დამატებად და იმპერიალისტური ომის დროს კიდეც დამარცხდა სოციალიზმი.

მაგრამ დღეს ვიცით მუშათა კლასი, თუ როგორი გიგანტიური სისწრაფით ილვიძებს ოპორტიუნიზმის ხანგრძლივი ძილისაგან.

დღეს პროლეტარიატი ითვისებს კლასობრივი ბრძოლის პრინციპებს, მეცნიერული სოციალიზმის იდეებს და აქარწყლებს ილიუზიებს ბურჟუაზიასთან კლასობრივი თანამშრომლობით, ბურჟუაზიის ფილანტროპიით და მის მიერ მოცემულ გარანტიებით მუშათა განთავისუფლების შესახებ.

დღეს გამოფხიზლებული მუშათა კლასი იწყებს გადამწყვეტ ბრძოლას კაპიტალიზმთან, მე-3 კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ ორგანიზაციულ-პოლიტიკური დარაზმვის სახით.

საერთაშორისო სოციალიზმის ცენტრი, კომინტერნი, რომელიც რაზმავს თვის ორგანიზაციულ რიგებს, აფართოვებს რიცხობრივად და ანვითარებს თვისობრივად თავის კლასიურ ფრონტს, როგორც **ერთად ერთი** კაპიტალიზმის და პარლამენტარიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ინტერნაციონალი,—აწარმოებს ბრძოლას პროლეტარიატის დიქტატურისათვის, შრომის სოციალურ და ნაციონალურ ჩაგვრა-დამონავებისაგან განთავისუფლებისათვის, ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციისათვის.

**მხოლოდ მე-III ინტერნაციონალს**, რომელმაც თანამედროვე საერთაშორისო სინამდვილეს აუღო სწორე ალღო, ძალუძს დანგრევა კაპიტალისტურ სამყაროს, ბურჟუაზიულ-ინდივიდუალურ წარმოების და ძველ დრო-მოჭმულ სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობისა.

აი ამ თანამედროვე გადამწყვეტ კლასობრივ ბრძოლის პერიოდში III-ე კომუნისტური ინტერნაციონალი საბოლოვოდ ალმოფხვრის აგრეთვე მეომარ კაპიტალიზმთან ერთად საერთაშორისო ოპორტიუნისტულ სოციალიზმის ცენტრსაც, II-ე ინტერნაციონალს.

ზემო ნათქვამის დასკვნა ასე თია: **II-ე ინტერნაციონალი, რომელიც საერთაშორისო კლასობრივ ბრძოლის პროცესში სოციალურ თანამშრომლობას აწარმოებს, მარცხდება მორალურ-პოლიტიკურიდ და ორგანიზაციულად ისე, როგორც მარცხდება დღითი-დღე კაპიტალიზმი. და მახთანვე, დღეს II-ე ინტერნაციონალის აღდგენის და მის გალვანიზაციის შესახებ ლაპარაკი შეუძლებელია ისე, როგორც შეუძლებელია იმ კაპიტალიზმის აღდგენის შესახებ ლაპარაკი, რომლის ბედი უკვე სასიკვდილოდ განწირულია.**

და აი აქ ჩვენ კიდევ ერთხელ ვსვამთ საკითხს: მაშ საიდკენ, იმპერიალიზმისაკენ თუ სოციალიზმისაკენ?

მსოფლიო რევოლიუციისაკენ,—რომელიც ის უძლეველი ცეცხლია, რომელიც თანდათანობით იპყრობს ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებს, თუ მსოფლიო რეაქციისაკენ, რომელიც ლამობს პროლეტარული რეაქციის ჩახშობას და მსოფლიოს თვის საკუთარ ეკონომიურ და პოლიტიკურ კოლონიად გარდაქცევას?

ესე იგი, უკეთ რომ ვსთქვათ, კაპიტალიზმის და პარლამენტარიზმისაკენ, რომელსაც იცავს თანამედროვე მეომარი იმპერიალიზმი და მასთან კლასიურად თანამშრომელი II-ე ინტერნაციონალი, თუ სოციალური რევოლიუციის და პროლეტარიატის დიქტატურისაკენ, რომლის მიმართულებით იბრძვის 3-ე კომუნისტური ინტერნაციონალი?

ჩვენი პასუხი აქ ერთია:

რასაკვირველია, მუშათა კლასსთან, პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელებისათვის მებრძოლ 3-ე კომუნისტურ ინტერნაციონალთან, რადგან ამას მოითხოვს ისტორიის რევოლიუციონური ლოღიკა, მეცნიერული სოციალიზმი და რევოლიუციონური მარქსიზმი.

შ. ანდღულაძე.

---

# რატომ გადავდექით?

ამ დღეებში ყოფილ პარტიულმა ამხანაგებმა დამიყენეს კითხვა:

— რაზე გადაგვიდექით? რატომ ჩაიდინეთ მოღალატეობა (?) პარტიისა და ქვეყნის წინაშე? ნუ დაგვიმალავთ, გვითხარით ნამდვილი მიზეზი... თქვენც ხომ დარწმუნებული ხართ იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება დამარცხდება დღეს თუ არა ხვალ?.. მაშ რამ გაიძულათ იმათკენ გადასვლაო...

უნდა მოვახსენო ყოფილ ამხანაგებს, რომ თუ მათთვის ჯერ კიდევ არაა გამორკვეული ნამდვილი მიზეზი 12 ათასი პარტიის წევრის ახალ გზაზე დადგომისა, მათ მართლაც დაკარგული ქონიათ აზრი, გონება, მხედველობა... ისინი ისე დაბრმავებული ყოფილან პარტიული დოგმატიზმით, რომ თავის ცხვირს იქით ვერაფერს ხედავენ.

რატომ გადავუდექით ძველ გზას?.. განა ეს დღეს აშკარა არაა ყველასთვის?

ჩვენ არ ჩაგვიდენია მოღალატეობა... პირიქით, ჩვენ დავგმეთ ქვეყნისა და მუშათა კლასის მოღალატეები.

ბოლშევიზმის დანგრევას მოჰყვება საშინელი რეაქცია, რომელიც ქვას ქვაზე არ დასტოვებს. ამას არ უარყოფს სეით დევდარიანიც კი.

ბოლშევიზმის ნანგრევებზე ვერ გამაგრდება სუსტი ხერხემლიანი დემოკრატია... იქ აუცილებლად გამეფდება შავი მონარქიზმი...

ეს ფეოდალურ—თავად-აზნაურული რეაქცია კი გაანადგურებს ქვეყნის სასიცოცხლო ძალებს, ცეცხლით და მახვილით შემოივლის ქალაქებს, სოფლებს, მეხივით დაატყდება განაპირა ქვეყნებსაც, მოსპობს მათ დამოუკიდებლობას და სისხლის ტბას დააყენებს, სადაც ათეული და ასეული წლობით ჩაახრჩობს სოციალიზმის იდეიას...

რუსეთის ბოლშევიზმი დასაყრდენობი წერტილია საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის, ამიტომ ბოლშევიზმის დანგრევა რუსეთში იქნება უდიდესი უბედურება არა მარტო რუსეთისათვის, არამედ საერთაშორისო მუშათა კლასისათვის, აგრეთვე იმ პატარა ქვეყნებისათვისაც, რომლებიც დღეს დამოუკიდებელ არსებობას განაგრძობენ.

მენშევიზმი დღეს ებრძვის ბოლშევიზმს. ამ ბრძოლაში მენშევიზმის ირგვლივ თავს იყრიან ყველა შავი ძალები...

და დეე ეხლა თვით მკითხველმა განსაჯოს, ვინაა ქვეყნისა და მუშათა კლასის მოღალატე, ის თორმეტი ათასი პარტიის წევრი, რომლებიც ქვეყნისა და მუშათა კლასის სრული გამარჯვების მიზნით გაერთიანდენ ბოლშევიკებთან, თუ ის თითო—ოროლა პირი, რომელიც არავითარ საშუალებას არ ერიდება ბოლშევიკების წინააღმდეგ?..

ჩვენ გადაჭრით ვამბობთ, რომ მენშევიკური ცეკა დღეს, როგორც საერთაშორისო მუშათა კლასისათვის, ისე ჩვენი პატარა ქვეყნისათვის აკეთებს შავ საქმეს.

მას რომ გავლენა ქონდეს და შეეძლოს განახორციელოს მის მიერ დასახული გეგმა, ცეცხლის ალში გაეხვევოდა ჩვენი ქვეყანა და შავი რეაქცია გადაიბიჯებდა, როგორც რევოლუციონურ მოძრაობას, ისე ჩვენი დამოუკიდებლობის გვამზე.

აი ნამდვილი მიზეზი იმისა, თუ რატომ დავირაზმეთ ჩვენ საბჭოთა პლატფორმაზე და დავანებეთ თავი იმ მოღალატურ გზას, რომელზედაც თავდაქანებული მიდის დღესაც მენშევიკური ცეკა.

დღეს საბჭოთა ხელისუფლების დამარცხებას ელოდებიან, შეხარიან რეაქციონურ ელემენტებთან ერთად განზედ გამდგარი მენშევიკებიც.

მარტო ეს ფაქტი რად ღირს რომ ამ ბრძოლაში ერთად არიან, ერთ ბარიკადზე დგანან და შეთანხმებულათ იბრძვიან რეაქციონერებიც და მენშევიკებიც?

მაგრამ საჭიროა კარგად დაფიქრდენ ის პირები, რომლებიც ჯერ კიდევ თავიანთ თავს რევოლიუციონერს ეძახიან, ვისი საქმეს აკეთებენ ისინი, ვის ეხმარებიან ამ ბრძოლაში...

და თუ გონებას აამუშავებენ, დაინახავენ, რომ ისინი აკეთებენ შავი რეაქციის საქმეს...

მხოლოთ პირადი თავმოყვარეობით და ჯიუტობით შეიძლება აიხსნას, რომ მენშევიკური ცეკა და მისი მიმდევარნი არ ანებებენ თავს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას.

რითია მიუღებელი მუშათა კლასისათვის საბჭოთა ხელისუფლება?

რატომ იბრძვის მენშევიკური ცეკა ბურჟუაზიულ—დემოკრატიული წესწყობილებისათვის, რამაც არაფერი არ მოუტანა მუშათაკლასს არც ჩვენში, არც რუსეთში, არც გერმანიაში?..

რითია მიუღებელი პროლეტარიატის დიქტატურა?..

თუ ბურჟუაზიულ ქვეყნებში ადგილი აქვს ბურჟუაზიულ დიქტატურას, რომელიც ანადგურებს მუშათა-კლასს, მის ორგანიზაციებს, რატომ უნდა ებრძოდეს სოციალისტი პროლეტარიატის დიქტატურას, როცა მუშათა კლასს აქვს ამისი საშუალება?..

ჩვენ არ გვწამს ისეთი ბრძოლა, რომელსაც მოაქვს განადგურება ქვეყნის, გასრესა პროლეტარიატის რეაქციას ქუსლებ ქვეშ და გაბატონება ისეთი რეჟიმის, რომელიც ათეული და ასეული წლებით დაასამარებს სოციალისტურ მოძრაობას...

ჩვენ არ გვწამს ავათმყოფური ეინიანობით გამოწვეული საქმიანობა...

აი რატომ უარვყავით ძველი გზა და დავდეგით ახალ გზაზე...

ჩვენი ყოფილი ამხანაგები, რომლებიც უნდა გადაჭრით ვთქვათ, განზე გაუდგნენ რევოლიუციას, ათასგვარი ეპიტეტებით გვამკობენ ჩვენ, გვლანძღავენ თავიანთ მცირე რიცხოვან კრებებზე, წყევლა—კრულვით გვიხსენებენ თავიანთ არალეგარულ ორგანოებში...

მაგრამ ისტორია მიუძღვნის მათ შესაფერ ჯილდოს ამ მოღალატეობისათვის...

ერთხელ ბებელმა სთქვა:

— როცა მტერი მაქებს, ეჭვი მეპარება ჩემს მოღვაწეობაში... ალბათ, რაღაცა მუშათა კლასის საწინააღმდეგო გამიკეთებიაო.

რაც მეტს გვაგინებენ და გვლანძღავენ ჩვენი ყოფილი ამხანაგები, მით უფრო ვრწმუდებით, რომ ჩვენი გზა სწორი და მიზან შეწონილია.

დეე, მათ შეკრან ერთი ფრონტი ნაციონალ—დემოკრატებთან, თავადებთან და ყველა ჯურის რეაქციონერებთან პარიტეტულ კომიტეტებში...

ჩვენი ფრონტი კი არის მუშათა კლასის ფრონტში... და ამ ფრონტზე ჩვენ გავაათკეცებთ ჩვენს მუშაობას, შვიდმილიან ნაბიჯებით წავალთ წინ, ჩვენი დიადი მომავლისაკენ... და ამ ფართე რევოლიუციონურ გზაზე ჩვენ არ გვეშინია არავითარი ძალის...

რევოლიუცია—საომარი ველია .. ამიტომ შეიძლება ამ ბრძოლაში პროლეტარიატი დროებით დამარცხდეს, მაგრამ არც ეს გვაშინებს, ვინაიდან ჩვენს მხარეზეა სიმართლე, ისტორია, სოციალური ჭეშმარიტება...

ა. რ.

---

# კოოპერაცია და ჩვენ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით დიდი ცვლილებები იქნა შეტანილი კოოპერატიული ცხოვრებაში. თუ უწინდელი კოოპერაციაში ფართო ადგილი ჰქონდათ დათმობილი მსხვილ მემამულეებს, მესაკუთრეებს, ვაჭრებს, სამოვდელოებას და მუშათა კლასის სხვა ამგვარ შეურიგებელ მოწინააღმდეგე ელემენტებს, დღეს ყველა ამ ჯგუფებს არავითარი გადამწყვეტი ადგილი არ აქვსთ კოოპერაციაში და მოკლებულნიც არიან ყოველგვარ იურიდიულ უფლებას ისევე, როგორც სხვა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულებაში ან არჩევნებში. სამაგიეროთ დღევანდელი კოოპერაცია გამოყენებულია მუშა, გლეხთა და მთელ მშრომელთა სასარგებლოთ. საჭიროა და აუცილებელიც მხოლოდ, რომ ჩვენ მთელის ძალ ღონით ჩავებათ ამ საქმეში და ხელი შევუწყოთ მის გაღონიერებას.

მუშათა დიქტატურის, საბჭოთა ხელისუფლების ფარულ და აშკარა მოწინააღმდეგები აქაც ცდილობენ არევდარევის, უნდობლობის შეტანას ისევ, როგორც საერთოდ ცდილობენ მუშათა მთავრობის საქმიანობის წანააღმდეგ. კოოპერატიულ დაწესებულებაში შემჩნეულ ყოველ ნაკლულეანეობებს იყენებენ მასალათ, და საქვეყნოთ ყვირიან, რომ კომუნისტები ანგრევენ საქართველოში კოოპერატივებს და ავრცელებენ სხვა ასეთ ხმებს. სინამდვილეში კი ჩვენ ვხედავთ სულ სხვას. კოოპერაციის გაჯანსაღებას და თავის სიმაღლეზე დაყენებას. ამ ნიადაგზე მუშაობაში, მართალია, დაიხურა მრავალი უვარგისი და ვაჭარ-ჩარჩების ხელში ჩავარდნილი კოოპერატივები.

იყო ისეთი კოოპერატივები, რომელნიც თავის უვარგის ხელმძღვანელობის წყალობით, იჯარით იყო გაცემული კერძო ვაჭარ-პირებზე. და ნუ თუ შეიძლებოდა ასეთი „კოოპერატივების“ არ დახურვა ან სხვა უფრო იდეურათ მაღლა მდგომ კოოპერატივებთან არ შერთება. აი ასეთი ყოფილა დახურულ კოოპერატივების ძირითადი აუცილებელი მიზეზები.

ავიღოთ კოოპერატივების მოძრავი შემადგენლობა, სამწუხაროდ, როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივ მრავალ სავაჭრო სხვა დაწესებულებებში, კოოპერატივებშიაც ბევრი ისეთი ძალები, რომელიც იდეურათ არაა დაკავშირებული ამ დაწესებულებასთან ვერ ურიგდება მუშურ წესწყობილებას და მსახურობს მხოლოდ იმდენათ, რამდენადაც დაწესებულება აკმაყოფილებს მას „სპეცურ“ მაღალ ჯამაგირის მიცემით... მართალია, ხელმძღვანელობა კოოპერატივებში ეკუთვნისთ რევოლიუციონურ მუშათა წრეებიდან გამოსულ ამხანაგებს. მაგრამ ვინაიდან თვით კოოპერატივებში არ არსებობს კოოპერატიული მაგარი დისციპლინა, ამიტომაც არა პარტიული და არა მუშურ წრეებიდან გამოსული და კოოპერატივებში მოთავსებული ზოგიერთი ძალები, მოქმედობენ დისციპლინის გარეშე და ვერც გრძნობენ დაკისრებულ პასუხისმგებლობას. ეს გარემოება კი დიდათ აფერხებს საეროო საქმეს, რომელიც დაბოლოს სააგიტაციო მასალად ხდება მუშათა მთავრობის მოწინააღმდეგე ჯგუფთა ხელში.

კოოპერაცია კი, როგორც ეკონომიურ ფრონტზე საბრძოლველი საუკეთესო იარაღი, ღირსია ყოველგვარ დახმარების და დამაგრებისა ისევე, როგორც მუშათა დიქტატურის პოლიტიკურ სავა და სხვა ფრონტების დაცვა --დამაგრებაა საჭირო და აუცილებელიც.

იგი არის ბასრი იარაღი გაუმაძღარ სპეკულიანტების კბილების დასამტვრევი და მშრომელ ხალხის იმავე სპეკულიანტების კლანჭებისაგან დასაცავი. ამიტომაც როგორც ასეთს ჩვენ არ უნდა ვუყურებდეთ მას, როგორც ჩვეულებრივ სავაჭრო დაწესებულებას, არამედ, როგორც რევოლიუციონურ საერთო ოჯახის ერთ ერთ ნაწილს და მთელის ძალღონით ხელი შევუწყოთ მისი გაღრმავება აღორძინებას.

**ძველი მუშა**

# ახ. მარქ. ორგან. უკანასკნელის შედეგების კვირეული ტფილისში.

გასულ კვირას ტფილისში ჩატარებულ იქნა 28-31 ოქტომბრის ყრილობის შედეგების კვირეული. წაკითხულ იქნა მთელი რიგი დაწესებულებებში და სასწავლებლებში საზოგადო კრებებზე მოხსენებები ერთსა და იმავე თემაზე „28-31 ოქტომბრის ყრილობის შედეგები“. მოხსენებებმა დიდი ყურადღება და პოლიტიკურ სფეროში გამოცოცხლება გამოიწვია ახალგაზრდობაში. მნიშვნელობა ამ კვირეულის უდიდესი იყო იმ იხრივაც, რომ ყველა ის კითხვები, რომლებიც წამოიჭრენ ამ ყრილობის გავლენის შედეგათ ამავე ორგანიზაციის წევრებშიდაც, ადგილობრივ იქმნენ გაშუქებულნი და სათანადოთ პასუხგაცემულნი. მოხსენებები დიდ ყურადღებას იწვევდენ თვით ახალგაზრდობის ფართო მასსებშიდაც და უსათუოდ მას აქვს აქაც დიადი მნიშვნელობა, სახელდობრ, ის აძლევს საბაბს ყოველ ახალგაზრდას დაფიქრდეს თავისი გზის, თავისი პოლიტიკური მრწამსის გარშემო და ერთნაირ კრიტიკულ მიმოხილვას ახდენს წარსულისა და მომავალისას.

მართლადაც გაუგებარი იქნებოდა ის, რომ უყურადღებოთ ჩაევლო ისეთ აქტს, ისეთ უჩვეულო და დიდათ საყურადღებო აქტს, როგორიც იყო 25 აგვისტოსა და 28 ოქტომბრის ისტორიული მნიშვნელობის აქტები. მართლადაც უჩვეულოა ის მოვლენები, რომლის მოწამენიც და მონაწილენიც ჩვენ ვხდებით დღეს.

წარმოდგენაც ძნელია მათთვისაც კი, ვისაც შეუძლია წარმოდგენით მაინც ჩასწვდეს იმ სიღრმეს, რომლის გადალახვაც გახდა საჭირო ამ ფაქტის საბოლაოთ ჩამოსაყალიბებლათ. სულ უკანასკნელი რა სიძნელეს წარმოადგენდა იმ ტრადიციების გადალახვა, რომლებიც ათეული წლობით იყო ჩაშდობილი პერსონალურათ თითოეული წევრის რაობაში, როგორც ჟანგ მოკიდებული რკინის პალო.

ეს მოხსენებები ერთხელ კიდევ უსპობს საშუალებას იმ უსაფუძვლო მტკიცებებს თითქოს ვიღაცის ზეგავლენით ან შიშით იყოს გამოწვეული ეს აქტი—ერთხელ კიდევ ააშკარავებს მთელ იდეურ სიდუხჭირეს იმ საწინააღმდეგო აზრებისა და დებულებებისა, რომლებიც კანტიკუნტათ ყრილობაზედაც იქმნენ წამოყენებული აქა იქ და რომლების გაურკვევლობა რყევის გზაზე აყენებს მცირე ნაწილს ამ ახალგაზრდობისას დღემდისაც. მიდიხარ საზოგადო კრებაზე და წინასწარ იცი თუ რა ხასიათის შეკითხვები იქნებიან წამოყენებული და მართლადაც სასტიკი სისწორით ყველა საზოგადო კრებაზე კითხვები და ოპონენტთა წამოყენებული დებულებები განმეორებაა ერთი და იმავესი, და აღსანიშნავია, რომ არც ერთი კითხვა არ დარჩენილა სათანადო ამომწურველ პასუხის გაუცემელი.

მნიშვნელოვანია მიმდინარე წელში ის გამოცოცხლება, რომელიც ემჩნევა სახელმწიფო უნივერსიტეტს, თუ წინათ აქ შესვლის ეშინოდა ყველას ეხლა იქ მრავალრიცხოვანი სა-

ზოგადო კრებები იკრიბება და ისმენს ამა თუ იმ მოხსენებას, და ამ მოხსენებამაც დიდი ყურადღება გამოიწვია, შემოტანილ იქნა უამრავი შეკითხვები, რომლებზედაც მომხსენებელის მიერ გაცემულ იქმნა სათანადო ვრცელი პასუხი, რის შემდეგაც კრება დაიხურა.

ფრიად სასურველი იქნებოდა ასეთის კვირეულის ჩატარება პროვინციებშიდაც, რათა გაშუქებული და ამოწურული იქმნან ყველა ის კითხვები, რომლებიც ორგანიულად დაკავშირებული არიან 28-31 ოქტომბრის ყრილობასთან.

**პიტეროს.**

---

# უკრაინის ყოფ. მენშევიკური პარტიის ღევრთა დეკლარაცია.

1905 წლის რევოლიუციამ და განსაკუთრებით იმ რეაქციამ, რომელიც მას მოყვა, გამოააშკარავა პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობა რევოლიუციონურ ბრძოლაში ყველა საზოგადოებრივ კლასებისა რუსეთში, და სწორედ ამ დროს იწყება აშკარა პრინციპიალური განსხვავებანი ბოლშევიკებსა და მენშევიკების შორის შემდეგ მთავარ საკითხებში:

1) მომავალ რუსეთის რევოლიუციას ექნება თუ არა ბურჟუაზიული, ანუ სხვა ხასიათი.

2) საზოგადოების რომელი კლასები იქნება ამ რევოლიუციაში პროლეტარიატის მოკავშირე და რომელი მტერი.

3) რომელი მეთოდები ბრძოლისა მიიყვანენ პროლეტარიატს ჩქარა და სრულ გამარჯვებამდე.

მენშევიკები ფიქრობდნენ, რომ ცარიზმთან ბრძოლაში პროლეტარიატის დროებითი მოკავშირე იქნება ბურჟუაზია, რომელიც პროლეტარიატის წაჯიკავებით დათანხმდება შექმნას რუსეთში პროგრესიული წყობილება და წავა მუშათა კლასის სასარგებლოდ დიდ დათმობებზეო. ამიტომ ისინი მიდიოდენ ერთგვარ შეთანხმებაზე ბურჟუაზიასთან ცარიზმთან ბრძოლაში. გლეხობის შესახებ კი მენშევიკები ფიქრობდენ, რომ ის დაეხმარება პროლეტარიატს ცარიზმთან ბრძოლაში, მაგრამ რაკი მიიღებს მიწას და პოლიტიკურ თავისუფლებას, ის შეიძლება გახდეს რევოლიუციონური ბრძოლის უბრალო უმოქმედო მაყურებელი, შეიძლება თითქმის გადაეხაროს რეაქციისა და ბონაპარტიზმისაკენ.

გამოდიოდნენ რა რევოლიუციის ბურჟუაზიული ხასიათიდან და პროლეტარიატის მსხვილი და დიდი მოკავშირის უყოლობისაგან, მენშევიკები შიშობდენ, რომ პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებამ შეიძლება მიგვიყვანოს დიდ დამარცხებამდე და რეაქციის გაძლიერებამდეო.

ამასთან ერთათ მენშევიკებმა მეტად გადააფასეს პროლეტარიატის ლეგალური ბრძოლის ორგანიზაციული და აღმზრდელობითი მნიშვნელობა და საკმაოდ ვერ დააფასეს პარტიული ორგანიზაციის ჭერ-ქვეშ მუშაობის მნიშვნელობა, რამაც პარტიაში დაბადა ლიკვიდატორული მიმდინარეობა.

პირიქით, ბოლშევიკები ფიქრობდნენ, რომ მომავალი რუსეთის რევოლიუცია ვერ მოთავსდება ბურჟუაზიული რევოლიუციის ჩარჩოებში. ბოლშევიკებმა კატეგორიულად უარყვეს ბურჟუაზიასთან ყოველგვარი შეთანხმება და ამიტომ ყოველთვის აყენებდნენ სრული ბრძოლის ლოზუნგებს. ამავე დროს ბოლშევიკები გლეხებს სთვლიდნენ პროლეტარიატის ბუნებრივ მოკავშირეთ, როგორც ცარიზმის ჩამოგდების, ისე თავისუფალი პოლიტიკური წყობილების დამყარების საქმეში. ისინი უარს კი არ ამბობდენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებაზე, არამედ ფართო პროპაგანდას ეწეოდნენ მის სასარგებლოდ, და აყენებდნენ პროლეტრიატის დიკტატურის ლოზუნგს მენშევიკური დემოკრატიზმის საწინააღმდეგოდ. გარდა ამისა ისინი უარს არ ამბობდნენ ლეგალურ მუშაობაზე და იმავე დროს მეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჭერქვეშ მუშაობას და პროლეტარიატის და პარტიის შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებას.

ამ მდგომარეობაში იყო რ. ს. დ. მ. პ. ორივე ნაწილი მსოფლიო იმპერიალისტური ომის აღმოცენების დროს.

ამ ომმა გამოააშკარავა, რომ მე-2 ინტერნაციონალი და მასში შემავალი პარტიები მაგრად ყოფილან შეპყრობილი ბურჟუაზიული პატრიოტიზმით. მან გაამწვავა კლასიური და ნაციონალური წინააღმდეგობანი და დღის წესრიგში დააყენა სოციალური პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა კაპიტალისტური წყობილების ფარგლებში შეუძლებელი იყო,—იმავე დროს მზათ იყო მის მესაფლავეთ ომით დაზარალებული, გაღატაკებული, ორგანიზაციულად დარაზმული პროლეტარიატი. აშკარა იყო, რომ ის რევოლიუციები, რომლებიც წარმოიშობოდნენ განმანადგურებელი ომის შემდეგ ვერ დაკმაყოფილდებოდნენ ბურჟუაზიული რევოლიუციის ფარგლებით, არამედ ამ რევოლიუციების დროს პროლეტარიატს და გლეხობას უნდა ჩაეგდო ხელში ძალა-უფლება.

1917 წ. რუსეთის თებერვლის რევოლიუცია იყო პირველი არა მარტო იმით, რომ ის პირველად მოხდა ომის შემდეგ, არამედ იმ დიად სოციალური ბრძოლით, რომლის დროს რუსეთის და საერთაშორისო პროლეტარიატმა მიიღო სოციალიზმისათვის ბრძოლის გაკვეთილები. რუსეთის მენშევიკები ვამდიოდენ რუსეთის რევოლიუციის ბურჟუაზიული ხასიათიდან და თებერვლის შემდეგაც განაგრძობდენ ბურჟუაზიასთან შეთანხმების პოლიტიკას. ვერ აფასებდენ რა ჯეროვანად რუსეთის პროლეტარიატის რევოლიუციურ ძალას და დასავლეთ ევროპის რევოლიუციურ განწყობილებას, ცდილობდენ რუსული რევოლიუცია მოემწყვდიათ ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ფარგლებში. მას შემდეგ, რაც ოქტომბრის რევოლიუციამ აშკარად გადასჭრა მთელი რიგი სოციალური პრობლემებისა და ამით გამოიწვია რუსეთის და საერთაშორისო ბურჟუაზიის საშინელი წინააღმდეგობა და სამოქალაქო ომი რუსეთში, რუსი მენშევიკები არ გაყვენ პროლეტარიატს და გლეხობას და ამით ობიექტიურად ხელს უწყობდენ კონტრ-რევოლიუციას. ამ გარემოებამ გამწვავებულ სამოქალაქო ომის პერიოდში გამოიწვია რ. ს. დ. მ. პ. აქტიურ წევრთა შორის უთანხმოება; მათმა რევოლიუციონურმა შეგნებამ ვერ შესძლო პარტიის პოლიტიკური ხაზის გამართლება.

იმავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მენშევიკურ პარტიაში იყო საერთოდ უთანხმოება ოქტომბრამდე და მის შემდეგაც და ის არ წარმოადგენდა ერთ მთლიან იდეოლოგიურ ერთეულს. ამ უთანხმოების მაჩვენებელია „ობორენცული" და ინტერნაციონალისტური მოძრაობა ოქტომბრამდე და სხვადასხვა დამოკიდებულება მენშევიკური ჯგუფებისა საბჭოთა ხელისუფლებასთან ოქტომბრის შემდეგ. და როდესაც, მაგ. 1919 წ. თათბირზე მიღებულმა თეზისებმა რამოდენიმედ დაკმაყოფილა პარტიის მემარცხენე ნაწილი, რამოდენიმე ხნის შემდეგ პარტიულმა ცენტრებმა ამ თეზისებზე უარი სთქვეს.

მაგრამ არა მარტო რუსეთის რევოლიუციასთან დაკავშირებული გარემოებანი, არამედ საერთაშორისო მდგომარეობა გვაიძულებს ჩვენ გადავშინჯოთ ჩვენი ძველი პოზიციები. ომის და რუსეთის რევოლიუციის შემდეგ სოციალური რევოლიუცია ევროპაში წარმოადგენს არა შორეულ ოცნებას, არამედ დღეგანდელი დღის სინამდვილეს. ამასთან დაკავშირებით, როგორც პროლეტარიატში, ისე ბურჟუაზიაში მსოფლიო მასშტაბით მოხდა დიდი ცვლილებები. კლასიური ბრძოლის უაღრესად გამწვავების საპასუხოდ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში ბურჟუაზია აწყობს პროლეტარიატის და გლეხობის შეუგნებელ ფენებს და ფაშიზმის სახით უტევს პროლეტარიატს, ის ცდილობს მუშათა კლასს წაართვას პოლიტიკური და ეკონომიური მონაპოვარი და საბოლოოდ დაიმონავოს. ამ დროს სოციალისტური პარტიები, რომლებსაც აერთებდა 1914 წ. ომის გამოცხადების დროს გაკოტრებული მეორე ინტერნაციონალი, ომის დროს და მის შემდეგაც განაგრძობდენ ბურჟუაზიასთან შეთანხმების პოლიტიკას. ისინი ყოველნაირად ცდილობენ, რომ თავიდან აიცდინონ შრომის და კაპიტალის შორის შეჯახება, აკავებენ პროლეტარიატს ბრძოლისაგან და მით აქრობენ მასში რევოლიუციონურ გამბედაობას. უფრო მეტი, ისინი შედიან კოალიციაში ბურჟუაზიასთან და თავის თავზე ღებულობენ პასუხისმგებლობას პროლეტარიატის იმ ეკონომიურ და პოლიტიკურ გაღატაკებისა, რომელიც ახლა სწარმოებს. ბურჟუაზიასთან ბლაუქით ისინი ქმნიან პროლეტარიატში ცრუ ილუზიებს თითქოს შეიძლებოდეს რევოლიუციური ბრძოლის გარეშე გამარჯვების მიღწევა.

დარწმუნდნენ რა ომის და რუსეთ-გერმანიის რევოლიუციის მაგალითებზე, რომ მემარჯვენე მიმდინარეობანი ევროპის სოციალისტური პარტიებისა უიმედოთ ჩაეფლენ ბურჟუაზიულ შემთანხმებლობის ჭაობში, და რომ მე-2-ე ინტერნაციონალი, რომელიც მათ აერთიანებს, წარმოადგენს ან ულონო, ან და მათ შემფერხებელ ცენტრს, მემარცხენე სოციალისტურმა მიმდინარეობებმა გადასწყვიტეს $2^1/_2$ ინტერნაციონალის დაარსება, რომელიც ცდილობდა გაეერთიანებია სხვა და სხვა ქვეყნის პროლეტარიატის რევოლიუციონური ბრძოლა. უდიდეს როლს ამ ინტერნაციონალში თამაშობდა რუსეთის სოციალ-დემოკრატია. მაგრამ მე-2-ე და $2^1/_2$ ინტერნაციონალის გაერთიანების ფაქტმა, რომელსაც ახლო წარსულში ჰონდა ად-

ვილი, აშკარად დაგვანახვა, რომ 2 და 3 ინტერნაციონალის მუშათა კლასის გაერთიანების ცდა გამწვავებულ სოციალური ბრძოლის მომენტებში სრულიად უიმედოა.

ერთ ადგილას უნაყოფო და მავნე ტაკტის მაგიერ, მე-3-ე ინტერნაციონალი და მასში შემავალი პარტიები პროლეტარიატის მთელ ბრძოლას და ძალას მიმართავენ არა კაპიტალიზმთან შეთანხმებისაკენ, არამედ რაზმავენ ძალებს სოციალიზმისათვის გადამწყვეტი ბრძოლის საწარმოებლად.

ამისათვის მე-3-ე ინტერნაციონალმა აქტიურად წამოაყენა მუშათა ერთიანი ფრონტის ლოზუნგი, მაგრამ ამას სასტიკად წინააღუდგა მეორე ინტერნაციონალი. ამის შედეგი ის არის, რომ მსოფლიო მენშევიზმი სულ უფრო და უფრო უსარგებლო და მავნებელი ხდება პროლეტარიატის შემდეგი ბრძოლისათვის. ნამდვილი, ობიექტიური კონტრ-რევოლიუციონერობა და პოლიტიკური იასუსტება მსოფლიო მენშევიზმისა თვალსაჩინოდ გამოიხატება გერმანიის მაგალითზე. უკვე თვალსაჩინოდ დაწყებულ სამოქალაქო ომის მომენტში გერმანიის სოციალ-დემოკრატია—მეორე ინტერნაციონალის ეს ხელმძღვანელი, განიცდის სრულ დაშლას: მაშინ, როდესაც საქსონიის და ტიურინგიის სოც.-დემოკრატები კომუნისტებთან ერთად შედიან მუშურ მთავრობაში, პარტიის მეორე ნაწილი შედის კოალიციონური ბურჟუაზიულ მთავრობაში, მონაწილეობას იღებს პროლეტარიატის წინააღმდეგ საალყო წესების გამოცხადებაში და პროლეტარიატის დახვრეტაში, რომელსაც ადგილი აქვს მთელს გერმანიაში.

კიდევ მეტი. საქსონიის სოც.-დემოკრატიის მოქმედება მუშათა მთავრობის გარეკვის შემდეგ აშკარად და ნათლად გამოხატავს მსოფლიო მენშევიზმის კონტრ-რევოლიუციონურ არსებას, აქ აშკარა ხდება, რომ მემარცხენე სოც.-დემოკრატებიც რევოლიუციის წინააღმდეგ დგებიან, როცა საქმე გადამწყვეტ კლასიურ შეტაკებამდე მივა.

რუსეთის რევოლიუციის გაკვეთილი და პროლეტარიატის და ბურჟუაზიის შორის ბრძოლის მდგომარეობა უდაოდ გვიჩვენებს საერთაშორისო და რუსეთის მენშევიზმის ისტორიულ დამარცხებას და რ. კ. პარტიის და მე-3-ე კომინტერნის ხაზის ისტორიულად გამართლებას, ყველა ზემოთქმულიდან აშკარაა:

1) რომ რუსეთის სოც. დემოკრატიის ნამსხვრევები ვერ იქნებიან რუს. მუშების წარმომადგენელნი და მათი აზრების გამომხატველნი.

2) რომ რუსეთის მენშევიკების ემიგრანტულ ცენტრს, საზღვარ-გარეთ არა აქვს უფლება რუსეთის მუშების სახელით გამოსვლის, მას უნდა წაერთვას უფლება ასეთი გამოსვლებისა, და

3) დადგა ჟამი, როდესაც აქტიურად უნდა მივეკედლოთ რუსეთის და საერთაშორისო რევოლიუციას რ. კ. პარტიის და კომინტერნის დროშის ქვეშ.

ჩვენ მოუწოდებთ ყველა ამხანაგებს, როსლებმაც უკვე დატოვეს რ. ს. დ. მ. პ. რიგები, ისე იმათაც, რომლებიც ფორმალურად დარჩნენ მის რიგებში, და რომლებიც ამ დეკლარაციის თანახმა არიან, შემოგვიერთდნენ ჩვენ და თავიანთი შემოერთება გამოხატონ ადგილობრივ თათბირებზე. თუ საკმაო რიცხვი ამხანაგებისა მიემხრობა ამ დეკლარაციას, მოწვეულ იქნას საგუბერნიო თათბირი ამ დეკლარაციის განსახილველად.

გაუმარჯოს რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციას!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციას მე-3-ე კომინტერნის დროშის ქვეშ.

სრულიად უკრაინის რ. ს. დ. მ. პ. ყოფილ წევრების (მენშევიკების) საორგანიზაციო ბიურო. **ვ. გალუზინი, მ. კოლჩინსკი, მ. მასარსკი, ვ. მოსიაკოვი, ა. სნეგირევი.***)

---

# კვირიდან-კვირამდე.

გერმანიის ამბები ისევ იპყრობს მთელ მსოფლიოს ყურადღებას. გერმანიის მდგომარეობა დღითი დღე რთულდება. უკანასკნელ დღეებში მეტად ფეხს იკიდებს მემარჯვენეებისაკენ გადახრის აზრი. დღეს გერმანიის ბედ-იღბალს ფაქტიურად განაგებს რეიხსვერის ხელმძღვანელი გენერალი სეტტი. მის ხელშია ძალა უფლება, როგორც სამხედრო, ისე ნაწილობრივად პოლიტიკურიც. მისი გავლენა დღითი დღე იზრდება. ტყუილად კი არ სთქვა, ნაციონალისტების მეთაურმა გესლერმა, რომ ნაციონალისტები დიდ იმედს ამყარებენ გენ. სეტტზეო. ჩრდილო-გერმანიის ნაციონალისტების კავშირის თათბირი მიესალმა სეტტის ხელში აღმასრულებელ ძალა-უფლების გადაცემას და რწმენა გამოსთქვა, რომ გენერალი სეტტი ამ ძალა-უფლებას მოიხმარს „მარქსისტული გავლენის“ საბოლოოდ აღმოსაფხვრელადო.

გენერალი სეტტის შავი პოლიტიკა იმდენად მიუღებელი და აშკარა მონარქისტულია, რომ თვით სოციალ-დემოკრატები იძულებულნი გახდნენ ხმა ამოეღოთ სეტტის წინააღმდეგ. მათ „ფორვერსტში“ დასწერეს: „იმ დროს, როდესაც მთავრობამ საოცარი სისწრაფით გააუქმა პროლეტარული რაზმები და სხვა მემარცხენე ორგანიზაციები, გენერალი სეტტი და მისი აგენტები სრულებით არ შეხებიან ფაშისტურ ორგანიზაციებს, როგორიცაა „ახალგაზდა გერმანელთა ორდენი“ და სხვა, რომელნიც ყოფილი ოფიცრებისაგან შესდგებიან და უკანონოთ ატარებენ სამხედრო ხასიათს“. მაგრამ გენ. სეტტმა ამაზე „ფორვერსტის“ დახურვის მუქარით უპასუხა და ს. დემოკრატები ჩააჩუმა.

— რას შვრება შტრეზემანი?

შტრეზემანი ჯერ კიდევ მთავრობის „ძებნაშია“, ვერ იქნა და ვერა, მან ვერ მონახა „მთავრობა“. ამ „ძებნაში“ შტრეზემანმა შეიმუშავა ახალი სამოქმედო პროგრამმა, რომლის მთავარი აზრია: დირექტორიის შექმნა, რეიხსტაგის გაშვება, ათი საათის სამუშაო დღის დაკანონება და საგარეო ვაჭრობის კონტროლის მოხსნა. მისი აზრით მხოლოდ ამ „ზომების“ დაუყონებლივ გატარება იხსნიდა გერმანიას კრიზისისაგან. იმავე დროს შტრეზემანი აცხადებს, რომ მოკავშირეების მოთხოვნილება კრონპრინცის გაცემის შესახებ ჩვენ უნდა უარვყოთო. პირიქით, შტრეზემანის აზრით გერმანიაში შემოშვებულ უნდა იქნას კაიზერი ვილგელმი; ამის შესახებ შტრეზემანმა განაცხადა: „უმჯობესია საფრანგეთის ძალადობის ატანა, ვინემ იმ საყვედურის დამსახურება, რომ უკანესკნელი მსოფლიო ომის შემდეგ კაიზერი იძულებულია იცხოვროს უცხოეთში“. ყველაფერი ეს მეტად დამახასიათებელია. მონარქისტები თანდათან უახლოვდებიან სამეფო ტახტს. კრონპრინცი რუპრეხტი შევიდა გერმანიაში, ახლა კაიზერს უშვებენ.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ მას შემდეგ, რაც შტრეზემანი თავისი ახალი პროგრამით წარსდგა სახალხო პარტიის ცეკას პლენუმის წინაშე და იქ გაიმარჯვა, აგრეთვე უცხოეთის სესხის შესახებ მოლაპარაკება დაიწყო, მისი მდგომარეობა საგრძნობლად განმტკიცდაო. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ სიმტკიცე მოჩვენებითია. სინამდვილეში შტრეზემანი თავის არსებობის დღეებს ითვლის, როგორც პრემიერი.

სეპარატიული მოძრაობა იზრდება.

ბავარიაში დიქტატორი კარი ბატონობს განუკითხავად, იმავე დროს იქ იბრძვის ძალაუფლებისათვის გენ. კლინიგი და „სამშობლოს დაცვის კავშირები“, როგორც ეს შტრეზემანმა განაცხადა.

საქსონია და ტიურინგიას თანდათან ახრჩობენ. გენერალ სეტტმა უკვე გასცა ბრძანება „პარტიის გარეშე“ მყოფ ახალი პოლიციის დანიშვნის შესახებ. ეს იმას ნიშნავს, რომ არც ერთი სოციალისტი არ უნდა იყოს პოლიციაშიო.

საქსონიაში დღიდან რეიხსვერის იქ შესვლისა 36 მუშა მოუკლავთ და 100-დე დაუჭრიათ.

ამავე დროს მთელს გერმანიაში ეკონომიური მდგომარეობა კატასტროფიულზე მეტია. ქაღალდის მარკის ღირებულება თვით ქაღალდის ღირებულებაზე ნაკლებია. გამოუშვეს ახალი ფულის ნიშნები სარენტო მარკის სახით, მაგრამ ის საქმეს ვერ გამოასწორებს.

უმუშევრობა დღითი დღე საოცარი სისწრაფით იზრდება. წარმოებები იხურება. მარტო ბერლინში იხურება 28 მეტალურგიული საწარმოვო. ერთი სიტყვით გერმანიის მდგომარეობა კატასტროფიულია. კაპიტალიზმი ქაოსშია გახვეული და ამ ქაოსში ფაშისტები, როგორც ზემოთ ავღნიშნე, თანდათანობით იკაფავენ გზას ფაშისტური დიქტატურისაკენ.

მაგრამ ამ ქაოსში იზრდება მეორე ძალა: ეს არის კომპარტია. ის დღითი დღე მეტ გავლენას პოულობს მუშათა წრეებში. მაგ. საქსონიაში, ქ. პირნეში 60 სოც. დემოკრატი გადავიდა კომპარტიაში. ბრემენის საქალაქო არჩევნებში კომუნისტებმა გაიმარჯვეს, მათ მიიღეს ყველაზე მეტი ხმა: მაშინ, როდესაც სოც. დემოკრატებმა მიიღეს 21,000 ხმა, კომუნისტებმა მიიღეს 27.000 ხმა. ასე იყო რუსეთშიაც. პირველად პეტროგრადის საბჭოში გაიმარჯვეს კომუნისტებმა. შემდეგ ამას

---

*) ყველა ის ყოფ. მენშევიკები, რომლებიც ხელს აწერენ ამ დეკლარაციას და შედიან სრ. უკრაინის რ. ს. დ. მ. პ. ყოფილ წევრთა საორგანიზაციო ბიუროში, არიან მუშები, რომელთაც ათეული წლობით უმუშავნიათ ს. დ. პარტიის რიგებში. **რედ.**

სხვა საქალაქო არჩევნებში გამარჯვება მოყვა და ბოლოს ოქტომბრით დაგვირგვინდა. ასე იქნება გერმანიაშიაც.

გერმანიის სოც. დემოკრატია კი თანდათან იშლება. იქ იმდენად გამწვავდა მდგომარეობა მათში, რომ მემარცხენე სოც. დემ. ცაიგნერს მემარჯვენე ს. დემოკრატებმა მექრთამეობის ბრალდება წაუყენეს. თითქოს ის ქრთამებს იღებდა სამსახურში, ქუჩაში, კაფეში, და სახლში და ყველგან. ამ ჟამად გერმანიის სოც. დემოკრატებმა დახმარებისათვის მიმართეს ყველა ქვეყნის სოც. დემოკრატიას. ამის შესახებ კომუნისტური გაზეთი სწერს: „დღემდე გერმანიის სოც. დემოკრატია ბრალს სდებდა კომპარტიას საბჭოთა რუსეთისაგან ფინანსიური დახმარების მიღებაში. ეხლა ისინი თვითონ სთხოვენ დახმარებას ბელგიის მეფის და პუანკარეს და მუსოლინის სოციალისტებს.“

ამ უკანასკნელ დღეებში სწარმოებდა მოლაპარაკება ამერიკის მრეწველებთან და ფინანსისტებთან გერმანიისათვის სესხის მიცემის შესახებ. ამერიკა თანახმაა სესხი და დახმარება მისცეს გერმანიას. სესხად აღებულ 125 მილიონ დოლარით გერმანია ვალდებულია შეისყიდოს სურსათი და ნედლი მასალა ამერიკაშივე.

ვოროვსკის პროცესი ლოზანაში გათავდა. მკვლელი კონრადი გაამართლეს. ამ გარემოებამ გამოიწვია საერთო აღშფოთება ყველა ქვეყნის მუშათა კლასში, განსაკუთრებით საბჭოთა ფედერაციაში. ამის შემდეგ თანახმად ჩიჩერინის განცხადებისა, საბჭოთა კავშირი სწყვეტს შვეიცარიასთან ყოველგვარ ურთიერთობას.

გერმანიის რეიხსტაგის სხდომაზე კომუნისტება შტრეზემანს ობსტრუქცია მოუწყვეს და არ ალაპარაკეს, ამიტომ სხდომა გადადებულ იქნა მეორე დღისათვის. უკანასკნელი ცნობებით შტრეზემანის მთავრობას შეუმუშავებია „ზომები“ რეიხსტაგში წესრიგის დასაცავად. ამ „ზომებით“ კომუნისტები დაშვებულ არ იქნებიან რეიხსტაგის სხდომაზე.

პუანკარემ ნეილში წარმოსთქვა ჩვეულებრივი სიტყვა, რომელშიაც კვლავ ხაზი გაუსვა იმას, რომ ვერსალის ხელშეკრულება უნდა იქნეს შესრულებული, რომ საფრანგეთი არ დასტოვებს დაკავებულ ოლქებს, თუ გერმანია არ დაემორჩილება მოთხოვნილებებს სამხედრო კონტროლის განახლებისა და კრონ-პრინცის გამგზავრების შესახებ.

პუანკარეს გამოსვლის გამო, გამოქვეყნებულია რეიტერის ოფიციალური ცნობა, რომელიც აღნიშნავს განხეთქილების შესაძლებლობას ინგლისსა და საფრანგეთს შორის, თუ საფრანგეთი არ შესცვლის შეურიგებელ პოზიციას. ამ ცნობამ ძლიერ შეაშფოთა საფრანგეთის ბურჟუაზიული წრეები. გარეშე საქმეთა სამინისტროს მიერ დაქირავებული პრესა მხარს უჭერს პუანკარეს თვალსაზრისს. რადიკალური პრესა, პირიქით, სასტიკათ აკრიტიკებს მთავრობის პოლიტიკას და ხაზს უსვამს ანტანტის გათიშვის საფრთხეს. კაპიტალისტური პრესა მოითხოვს ინგლისთან თანამშრომლობის აუცილებლობას.

# პ რ ე ს ა.

## „სპეცების“ ხელფასის შესახებ.

დღეს ჩვენში მეტად არანორმალურ მდგომარეობას აქვს ადგილი შრომის ხელფასის განსაზღვრაში. ჯერ ერთი: სხვადასხვა დაწესებულებაში ერთი და იმავე თანამდებობის პირთა ჯამაგირების შორის საოცარი განსხვავებაა. თუ ვინმე მოხვდა სამეურნეო დაწესებულებაში, როგორიცაა ტრესტები, ბანკები, კოოპერატივები და სხვ. იმისი საქმე გაჩარხულია; მაგრამ ისინი კი, ვინც სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობენ, ცუდათ არიან უზრუნველყოფილი. ამ საკითხის შესახებ ამ დღეებში გაზეთ „კომუნისტში“ იყო მეტად საყურადღებო წერილი. საჭიროა ამ ნაკლის გამოსასწორებლათ ზომების მიღებაც.

გარდა ამისა ჩვენში, როგორც, რუსეთში მეტად გამრავლდნენ „სპეცები“ ამ საკითხის შესახებ მეტად საგულისხმიერო წერილი (მოსკოვიდან) მოთავსებულია „კომუნისტში“, სადაც ვკითხულობთ:

„საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭომ („СТО“) მიიღო დადგენილება პერსონალური ჯამაგირების და სპეციალური დავალებების ჯილდოს გაცემის შესახებ. დადგენილება ეხება სახელმწიფო და შერეულ სააქციონერო საზოგადოებების ორგანოებში მომუშავეთ. მას მიზნათ აქვს შეიტანოს ერთგვარი მიზანშეწონილობა პერსონალური ჯამაგირების დანიშვნაში და ამით მოსპოს ის ზედმეტი ხარჯები, რომელსაც დიდი ჯამაგირების უხვათ დანიშვნა იწვევს.“

ამ დადგენილებას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამის გატარება ერთგვარ წესრიგს შეიტანს „სპეცებისათვის“ ხელფასის მიცემის საქმეში. არვარგა, როდესაც ყველა თავისი ჭკუის და აზრის მიხედვით, რომ განსღვრავს, თუ ვინ არის „სპეცი“ და ვის დაენიშნოს პერსონალური ჯამაგირი. „სპეცი“ იმას უნდა ეწოდებოდეს, რომლის თანამდებობის ასრულება ყველას არ შეუძლია. გარდა ამისა „სპეცი“ აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური ცოდნით, ნიჭით და სხვა ამგვარი თვისებებით. დღემდე „სპეცობის“ განსაზღვრას დაწესებულების მეთაური აწარმოებდა. ამ დადგენილების მიღებიდან კი ბოლო ელება.

...იმ თვითნებობას პერსონალური ჯამაგირების დანიშვნაში, რომელსაც აქამდე ჰქონდა ადგილი. თვითეულ ორგანოსათვის (სახელმწიფოს და შერეულ სააქციონერო საზოგადოებების, სახელმწიფო კაპიტალის გადამეტებით) წესდება განსაზღრული ფონდი სპეცების ჯამაგირებისათვის. ფონდი წარმოადგენს ამ დარგში არსებულ სამუშაო ხელფასის თანხების განსაზღრულ პროცენტს. თუ რამდენი უნდა იყოს ის კერძოთ თვითეულ დაწესებულება-წარმოებისათვის, ამას აწესებს შრომის კომისარიატთან არსებული კომისია, სადაც შედიან შრომის, ფინანსთა და გზათა კომისარიატების, სამეურნეო საბჭოსა და პროფესიონალური კავშირების წარმომადგენლები. თვით პერსონალური ჯამაგირების დანიშვნა რჩება ორგანოს ხელმძღვანელის უფლებაში, მაგრამ ფონდის იმ ფარგლებში, რომელიც ამ ორგანოსათვის არის მიღებული. ამით დაწესებულების ხელმძღვანელი იძულებული იქნება პერსონალური ჯამაგირები დაუნიშნოს მხოლოდ უმაღლეს კვალიფიკაციის მომუშავეთ და არა ფიქტიურ სპეცებს. თვითეული ინდივიდუალური ხელშეკრულება, უმაღლეს კვალიფიკაციის მომუშავეებთან დადებული, უნდა გატარდეს შრომის კომისარიატის ორგანოების რეგისტრაციაში.

ამ წესის მიღებით ისპობა შრომის ხელფასის მაქსიმუმი, რომელიც არსებობდა სახელმწიფო წარმოება დაწესებულებათა მომუშავეების ჯამაგირების განსასაზღვრავათ“.

# ქ რ ო ნ ი კ ა

◆ **ამხ. ალ. ფარნიევმა** თფილისში სხვა და სხვა ადგილას უკვე გააკეთა მოხსენებები საბჭოთა რუსეთში მიღებულ შთაბეჭდილებების შესახებ. ახლა ის მიემგზავრება პროვინციაში ასეთივე მოხსენებების გასაკეთებლად.

◆ **20 ნოემბერს** შესრულდა ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის არსებობის ექვსი წლის თავი, რომელიც საქართველოს კომუნისტურმა კავშირმა ზეიმით იდღესასწაულა.

◆ **ანკეტების** შევსება შეიძლება **1. რაიონში** ამხ. ჩლაიძესთან და გნოევოისთან, **მე-2-ე რაიონში:** ამხ. თედეშვილთან (ტრამვაი) და ვარსიმაშვილთან (არსენალი), **მე-3-ე რაიონში:** ამხ. ალიხანოვთან (დამზღვევი კასა) ვაჭარაძესთან და ბესოშვილთან (ქალ. სასაკლაო), **მე-4-ე რაიონში:** ამხ. მიკირტუმოვთან (ცეკავშირი) დ კაიტანჯიანთან (სტამბებში), საერთოდ კი—ცეკას თეზისების გამტარებელ კომისიაში (სასტ. ნოე № 74). **ზემოხსენებულ ამხანაგებს ევალებათ გამოცხადნენ კომისიაში (სასტ. „ნოე“ № 74) ხამშაბათს 27 ნოემბერს საღამოს 5 საათზე თათბირზე დასასწრებლად.**

◆ **შეცდომის გასწორება.** „სიმართლის ხმა“ № 1-ში წერილი: „ყოფილ ახ. მარქ. მომავალ მუშაობისთვის შეცდომით მოწერილია: კომ. კავშ. ცეკასთან არსებული საგანგებო „კომისია,“ უნდა იყოს: **კომ კავშირის ცეკასთან არსებული კომისია.**“

# სხვა და სხვა ამბები.

◆ **როსტოვ-ნახიჩევანის** მენშევიკური ორგანიზაციის 21 უძველესი წევრი მოუწოდებს ყველა ყოფილ მენშევიკებს, მიემხრონ სრულიად რუსეთის ყრილობის წინადადებას პარტიის ლიკვიდაციის შესახებ.

◆ **უკრაინაში** შემდგარა ყოფილ მენშევიკთა საორგანიზაციო ბიურო, რომლის დეკლარაცია დღეს ჩვენს ჟურნალში იბეჭდება.

◆ **ერევანში** 20 ნოემბერს გაიხსნა სრულიად სომხეთის ყოფილ დაშნაკელთა ყრილობა. მისასალმებელი სიტყვების დროს ერთმა უძველესმა დაშნაკმა დაშნაკელების პარტია დაახასიათა, როგორც პარტია, რომელსაც ცალ ხელში ეჭირა ხმალი, მეორე ხელით კი ის ითხრიდა სამარეს და ამ სამარეში უნდა იქნას ის ეხლა დასაფლავებული.

◆ **საქსონიაში** 60 წევრი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისა გადავიდა კომუნისტურ პარტიაში.

◆ **კომპარტიამ** ბრემენის საქალაქო არჩევნებში მიიღო 27000 ხმა, სოც.-დემოკრატიამ კი—21000.

◆ **ბუდიონი,** რუსეთის ცხენოსანთა ჯარის უფროსი, თფილისში ჩამოვიდა.

◆ **ლოზანაში,** ვოროვსკის მკვლელის კონრადის პროცესი დამთავრდა. კონრადი, როგორც მოსალოდნელი იყო, გაამართლეს და ციხიდან გაანთავისუფლეს.

ამხ. ვოროვსკის მკვლელის გამართლება დიდ აღშფოთებას იწვევს საბჭოთა ფედერაციის და ევროპის მუშათა შორის.

◆ **ფაშისტები** მოითხოვენ „მარქსიზმის" წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლის წარმოებას. ამ მიზნით გერმანიის ყველა ეროვნულ ძალებს გაერთიანებისაკენ მოუწოდებენ.

◆ **ბავარიის** დიქტატორმა კარმა ბავარიის კომპარტია დაშლილად გამოაცხადა, ხოლო მისი ქონება ჩამორთმეულად.

◆ **გერმანიაში** გენერალ სექტის უფლება დღითი დღე იზრდება. ის ემუქრება დახურვით სოც. დემ, ცენტრალურ ორგანო „ფორვერტს" თუ უკანასკნელი ხელს არ აიღებს „საზოგადოებრივ აზრის აღელვებაზე".

◆ **6 დეკემბრისათვის** დანიშნულია ინგლისში საპარლამენტო არჩევნები. კომპარტიის კანდიდატთა სიები უკვე გამოქვეყნდა. კანდიდატთა სიებში შეტანილია 22 ქალი, ეს პირველი მაგალითია ინგლისის საპარლამენტო ისტორიაში.

◆ **ინგლისის** მუშათა პარტიის მეთაური მაკდონალდი თავის ერთ-ერთ წერილში მოითხოვს საბჭოთა კავშირის დაუყონებლივ ცნობას.

---

# ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲓᲐᲜ.

**(ხართიპალის რაიონი)**

სწავლა განათლების საქმეს ჩვენს რაიონში მკვიდრი და ფართო საძირკველი ეყრება.

საერთოდ სამეურნეო გადასახადს გლეხობა სამართლიანად სთვლის, მაგრამ უკმაყოფილოა იმით, რომ შეცდომით და უსწოროთ არის ზოგან განაწილებული ეს გადასახადი. მენშევიკური პარტია მოკვდა, არ არსებობს. არის ორიოდე მენშევიკი, რომელნიც რუსეთში იმყოფებიან. გლეხობა დიდს ინტერესით ეპყრობა გერმანიის ამბებს. ზიზღს იწვევს იქაური სოც. დემოკრატიის ორპირული პოლიტიკა. მთელი სიმპატია გლეხობისა გერმანიის პროლეტარიატის მხარეზეა. წყევლა კრულვით იხსენიებენ შავრაზმელებს და ფაშისტებს.

ჩვენს რაიონს ეწვიენ შეფები, ბევრ რამეს დაგვპირდენ, ველით დაპირების განაღდებას.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ყაჩაღების და ბანდიტების მთავარი ბუდე დანგრეულია. ორიოდე კიდევ დაწანწალებს, მაგრამ ხალხის რისხვა მათაც მალე მოუღებს ბოლოს.

ამ ჟამად ფართო მასშტაბით ეწყობა წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე. ამ მხრივ დიდი მუშაობა სწარმოებს და ამ საქმეს გლეხობაც სიხარულით ეგებება. ახალგაზრდები და შუა ხნის კაცები ერთად მეცადინეობენ.

**ტურა.**

---

## წერილები რედაქციის მიმართ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების სამი წლის არსებობამ საკმაოდ ნათლად და აშკარათ დაგვანახვა, რომ მენშევიკებმა ერთხელ და სამუდამოთ უღალატეს მუშათა კლასს, რომ მენშევიზმი მეორე ინტერნაციონალის სახით ემსახურება ბურჟუაზიის ბატონობას და შეგნებულათ ხელს უშლის იმ ბრძოლას, რომელსაც ამ ჟამათ აწარმოებს კაპიტალისტურ ქვეყნის მესაფლავე პროლეტარიატი. დღეს, როდესაც მსოფლიო მასშტაბით იწყება უკანასკნელი სამკვდრო სასიცოცხლო შეჯახება ბურჟუაზიისა და მომავალი კულტურის მებაირაღტრის, ბრწყინვალე იდეალებით გამსჭვალულ პროლეტარიატის შორის, როდესაც მთელი კაცობრიობა გაყოფილია ორ ბანაკად—ერთის მხრივ დრომოჭმული, დახავსებული კაპიტალიზმი ფაშიზმის სახით და მეორეს—პროლეტარიატი:

როდესაც მსოფლიო რევოლიუციის აჩრდილი, რომლის ჩირაღდანი პირველად დაინთო რუსეთში, თავს დასტრიალებს არწივის თვალებით შინაგანი წინაღმდეგობით გახრწნილ კაპიტალიზმის ლეშს, მე არ შემიძლია მთელი ჩემი ახალგაზრდული აღტაცებით, ენერგიით და გულწრფელობით არ შევსძახო: გაუმარჯოს მუშათა კლასს, გაუმარჯოს III-ე კომინტერნს, გაუმარჯოს კომპარტიას, რომელიც ერთადერთი ატარებს უმწიკვლოდ პროლეტარიატის წმინდა დროშას.

**პლატონი დავითისძე ხალია.**

---

1916 წლიდან ჩემი პოლიტიკური რწმენით მე ვეკუთვნოდი სოც.-დემოკრატიულ (მენშევიკურ) პარტიას, მაგრამ უკანასკნელი ორი სამი წლის განმავლობაში არალეგალურად მომქმედი მენშევიკურ პარტიის პოლიტიკამ, რომელიც მიმართული იყო რევოლიუციის და და მშრომელი ხალხის წინააღმდეგ, საბოლოვოდ გამაწყვეტია ყოველგვარი იდეური კავშირი მასთან. დღევანდელი მომენტი ვალდებულად ხდის ყველა სინდისიერ რევოლიუციონერს შეკავშირდეს და მჭიდრო კავშირით შექმნას ერთი მთლიანი ოჯახის გაერთიანებული ფრონტი მსოფლიო ბურჟუაზიის შავ ზრახვების წინააღმდეგ საბრძოლველად.

სრულიად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ საქართველოს სოც.-დემ. (მენშ.) მუშ. პარტიის ყოფილი წევრები სწორედ მიიტრფიან ზემოხსენებულ მიზნისაკენ. ამიტომ უერთებ მათ ჩემს ხმას და საღი შეგნებით ვიზიარებ იმ დადგენილებას, რომელიც გამოტანილი იქნა სრულიად საქ. სოც. დემ. მუშ. პარტიის 20—25 აგვისტოს ყრილობაზე.

**ალექსანდრა ხალია.**

---

მე, ქვემორე ამისა ხელის მომწერი, უერთდები ყველა დადგენილებებს სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკების ყრილობისა და ამიერიდან მზათ ვარ ხელი შეუწყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას.

**ოქრო ლაცაბიძე.**

---

დღევანდელი მომენტი ვალდებულად ხდის ყველა რევოლიუციონერს შექმნას გაერთიანებული ფრონტი მსოფლიო ბურჟუაზიის შავ ზრახვების წინააღმდეგ საბრძოლველად. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ჩვენთაგანი მიიტრფის ზემოაღნიშნულ მიზნისაკენ, რათა ამით მოუტანოს მთელი ქვეყნის პროლეტარიატს გამარჯვება და თავისუფლება. სრულიად ვიზიარებ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა (მენშ.) პარტიის ყრილობის დადგენილებებს და ყოველივე ძალ-ღონეს ვიხმარ მისი პლატფორმის ცხოვრებაში გასატარებლად.

**ვლადიმერ ნაფარიძე.**

---

1917 წლიდან მე ვირიცხებოდი სოციალ-დემოკრატიულ (მენშ.) პარტიაში. ეს პარტია დღემდე მიმაჩნდა მუშათა კლასის ინტერესების დამცველად, მაგრამ დღეს ფაქტიურად ვხედავ, რომ მე II ინტერნაციონალი ანტირევოლიუციონურ ბანაკშია მოყოლილი, ამიტომ უერთდები ყოფ მენშევიკთა ყრილობის ყველა დადგენილებებს.

**სირანუშ კალანტაროვი.**

---

საქ. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგ. სალიკვიდაციო კონფერენცია დამთავრდა. ამ ყრილობის ერთი მონაწილეთაგანი მეც ვიყავი. რამდენადაც ძალა შემწევდა და დროც მის საშვალებას მაძლევდა, შევეცადე ყრილობაზე სათანადო თეორეტიული დავის სიმაღლე დამეცვა, რადგან ჩემი ღრმა რწმენით ეგ ყრილობა დემარკაციული ხაზია ჩვენში ახალგაზრდათა მოძრაობისა. და აქ უნდა გამჟღავნებულიყო ახალგაზრდათა ინტელექტუალური სიმძაფრე და სიმწიფე.

ამ რამდენიმე თვის წინად თვით კრიტიკამ იძულებული მყო ჩემი თავი ყოველგვარ პოლიტიკის გარეშე გამომეცხადებია.

ეს იმისთვის, რომ ახალ შეხედულებათა გამორკვევისათვის წმინდა დაფა დამეხვედრებინა.

ამ ყრილობის შემდეგ აპოლიტიზმი, იქნება ის თეორიული თუ პრაქტიკული აშკარაა, თვითმკვლელობა იქნება ახალგაზრდებისათვის.

მე სავსებით უერთდები ყრილობის დადგენილებებს.

და მივმართავ მათ მარქსის სიტყვებით: შენ შენი გზით იარე და ხალხმა რაც უნდა ის ილაპარაკოს.

(Sedui il tuo corso et lacia ,dit le genti)

მეგობრული სალამით ა. **კეკელია.**

*) ამხ. კეკელია ახ. მარქსისტთა ყრილობაზე გამოდიოდა ყრილობის მთავარი ხაზის წინააღმდეგ და თუმცა ამ წინააღმდეგობას ის თეორიულ ბურუსში ხვევდა და საკითხების პრაქტიკულად დაყენებას გაურბოდა, მაგრამ საერთოდ ის მაინც წინაღმდეგი იყო პროლეტარიატის დიქტატურის და საბჭოთა სისტემის უპირობოთ (безоговорочно) აღიარების, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად. ასეთი შთაბეჭდილება დაუტოვა მან ყრილობის წევრებს. ზემოთ მოყვანილი წერილი ამხ. კეკელიასი ამართლებს ამ შთაბეჭდილებას. ის უკვე აცახადებს, რომ „სავსებით უერთდება ყრილობის დადგენილებებს". სჩანს, ყრილობის შემდეგ უფრო დარწმუნდა ამხანაგი ძველი ტაქტიკის გადაფასების და ახალის მიღების სისწორეში. ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ სხვა ამხანაგებშიაც, რომლებიც ყრილობამდის და ყრილობაზე ერთგვარად ყოყმანობდნენ, ყრილობის შემდეგ მომხდარა დიდი გადატეხა, რაც სასიხარულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

**რედ.**

---

| | |
|---|---|
| სარედაქციო კოლეგია: | ა. ფარნიევი. |
| | ა. რუხაძე. |
| | კ. შენგელია. |
| | კ. თოფაძე. |
| | გ. ვარდოიანი. |

---

ს. ს მ. უ. ს. პოლ. განყოფ. 1-ლი სტამბა. ნებადართულია ლიტ. და გამ. მთავ. მართ. მიერ № 851 ტირაჟი 1200